პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 10 (5410) | ხუთშაბათი, 12 იანვარი 1939 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახკომსაბჭო ავალებენ ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციას უზრუნველჰყოს აღწერის მუშაკებისათვის ყოველნაირი დახმარების გაწევა და მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერა სანიმუშოდ ჩატარდეს"

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 8 იანვრის მიმართვიდან

გადამწყვეტი დღეები მოსახლეობის აღწერისათვის მზადებაში

მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის დაწყებამდე 5 დღე დარჩა. დადგა აღწერისათვის მზადების გადამწყვეტი დღეები. ყველა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ დარჩენილი დრო, ღირსეულად მოამზადონ და ორგანიზებულად და სანიმუშოდ ჩაატარონ მოსახლეობის აღწერა.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო თავიანთ მიმართვაში ერთხელ კიდევ მოაგონებენ ყველა პარტიულ და უპარტიო ბოლშევიკს, ყველა საბჭოთა მოქალაქეს, რომ მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერას აქვს უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა, რომ მოსახლეობის აღწერის ჩატარება არის არა მარტო აღწერის მუშაკთა საქმე, არამედ საყოველთაო - სახალხო მნიშვნელობის უდიდესი საქმე.

ამიტომ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახკომსაბჭო „ავალებენ ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციას უზრუნველჰყონ აღწერის მუშაკებისათვის ყოველნაირი დახმარების გაწევა და მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერა სანიმუშოდ ჩატარდეს".

მოსახლეობის აღწერის უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის მიუხედავად, საქართველოში ამ მიმართულებით ზოგან ჯერ კიდევ აშკარად არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან; ამ საქმეს მარტო აღწერის მუშაკებს ანდობენ და, რაც მთავარია, ჯეროვნად არ ზრუნავენ აღმწერთა კადრების მომზადებაზე, სახლების ნომერაციაზე, საბინაო დავთრების წესრიგში მოყვანაზე და სხვა ამგვარ „წვრილმანზე", რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ აღწერის სწორად და უშეცდომოდ ჩატარებისათვის.

დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ საქ. მოსახლეობის აღწერის ბიუროში, რომელიც მოწოდებულია უშუალოდ უხელმძღვანელოს ადგილებზე მოსახლეობის აღწერისათვის მზადებას, ყოველთვის არ იციან, თუ რა ხდება რაიონებში. საქ. მოსახლეობის აღწერის ბიუროს 30 დეკემბრის ცნობით თბილისის რაიონში ამ რიცხვისათვის აღწერის კადრების მომზადება უკვე დამთავრებული იყო, სინამდვილეში კი ჯერ კიდევ 8 იანვარს მცხეთის სასოფლო საბჭოში აკლდათ 2 აღმწერი, კოჯორში —3, ტვჭალაში—1.

აღწერამ უნდა მოგვცეს მოსახლეობის რაოდენობისა და შემადგენლობის სრული და ზუსტი სურათი. ეს კი დამოკიდებულია აღმწერთა კადრების მომზადებაზე, დამოკიდებულია იმაზე, თუ თვითეული აღმწერი რამდენად კარგად იცნობს სააღწერო ფურცელში დასმულ კითხვებს და მათზე პასუხის გაცემის წესს. ამ მხრივაც ყველგან დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არ არის. ამას ადასტურებს თუნდაც 9 იანვარს შემდგარი თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მესამე სააღწერო განყოფილების აღმწერთა და ინსტრუქტორ - კონტროლიორთა საინსტრუქტაჟო თათბირი, რომელზედაც მთელმა რიგმა აღმწერებმა გამოიჩინეს უცოდინარობა სააღწერო ფურცელში დასმულ ზოგ კითხვებზე პასუხის გაცემაში. ეს ფაქტი მოწმობს, რომ მესამე სააღწერო განყოფილების გამგე ამხ. ნ. ტყეშელაშვილი კარგად არ იცნობს თავის კადრებს და საკმაოდ არ ზრუნავს მათი სათანადოდ მომზადებისათვის.

ცუდად ემზადებიან მოსახლეობის აღწერისათვის ქ. სტალინირშიც. იქ დღემდე ჯერ კიდევ საკმაოდ დაზუსტებული არა აქვთ ქალაქის სქემატიური რუკა. დამთავრებული არ არის სახლების ნომერაცია. ქალაქის საბჭომ სააღწერო უბნებისათვის დღემდე ვერ გამონახა ბინები.

არადამაკმაყოფილებელია ახსნა-განმარტებითი მუშაობა არაორგანიზებულ მოსახლეობაში. მთელ რიგ რაიონებში საკმაოდ ვერ გამოიყენეს სსრ კავშირის და საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს აგიტაციის დარგში დაგროვილი მდიდარი გამოცდილება. თბილისის 26 კომისრის რაიონში ძალიან ცოტა კეთდება იმისათვის, რომ მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის უდიდესი სახელმწიფო მნიშვნელობა იცოდეს ყველა საბჭოთა მოქალაქემ, თვითეულმა დიასახლისმა.

ჭიაბრიშვილის ქუჩაზე 2 თვეზე მეტი იქნება, რაც დიასახლისებთან არცერთი საუბარი არ მოუწყვიათ მოსახლეობის აღწერის საკითხებზე. მაგალითად, ამ ქუჩის № 11, 13 და სხვა ბინებში მცხოვრები დიასახლისების უმრავლესობამ არა მარტო აღწერის მნიშვნელობა, არამედ ისიც კი არ იცის, რომ მოსახლეობის აღწერა 17 იანვარს იწყება.

სუსტად აშუქებენ მოსახლეობის აღწერის საკითხებს მთელი რიგი რაიონული გაზეთები. მაგალითად, ცხაკაიას რაიონულ გაზეთ „ავანგარდს" ოქტომბრის და ნოემბრის განმავლობაში მოსახლეობის აღწერაზე არცერთი სტრიქონი არ დაუბეჭდია, ხოლო დეკემბერში მხოლოდ ერთი მოწინავითა და სამი უმნიშვნელო კორესპონდენციის დაბეჭდვით დაკმაყოფილდა.

მოსახლეობის აღწერის მნიშვნელობის პოპულარიზაციის მიზნით უნდა გამოვიყენოთ და ავამოქმედოთ ბეჭდვითი და სიტყვიერი პროპაგანდის ყველა საშუალება, უნდა გავაჩაღოთ ბოლშევიკური შინაარსით გაჟღენთილი აგიტაცია და მივაღწიოთ იმას, რომ აღწერის დაწყებამდე ყველა საბჭოთა მოქალაქეს ნამდვილად ესმოდეს მოსახლეობის სრულიად - საკავშირო აღწერის უდიდესი მნიშვნელობა და აღწერის მუშაკებისათვის ყოველმხრივი დახმარების გაწევის აუცილებლობა.

მოსახლეობის სრულიად - საკავშირო აღწერისათვის ბოლშევიკური მზადება, აღწერის ორგანიზებულად, უშეცდომოდ და სანიმუშოდ ჩატარება—ყველა პარტიული და უპარტიო ბოლშევიკის, ყველა საბჭოთა მოქალაქის ღირსების საქმეა.

გაზეთ „კრასნაია ზვეზდას" 15 წლისთავი

12 იანვარს აღინიშნება გაზეთ „კრასნაია ზვეზდას" — სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის ცენტრალური ორგანოს — 15 წლის იუბილე.

„კრასნაია ზვეზდა" ათასგვარი ძაფითაა დაკავშირებული მებრძოლებთან, მეთაურებთან და პოლიტმუშაკებთან, რომელთაც მხურვალედ უყვართ თავისი გაზეთი.

გაზეთი დაუღალავად იბრძვის მუშურ-გლეხური წითელი არმიის ბოლშევიზაციისათვის. იგი ასწავლის თავის მკითხველებს მაღალ ბოლშევიკურ სიფხიზლეს, პატიოსნებას, მამაცობასა და დისციპლინიანობას.

ხასანის ტბასთან წარმოებული გმირული ბრძოლის დღეებში „კრასნაია ზვეზდა" ღრმად და შინაარსიანად მოგვითხრობდა საბჭოთა ხალხის დიადი არმიის მებრძოლთა გმირობისა და თავგანწირულების შესახებ. (საკდესი).

გაზეთ „კრასნაია ზვეზდას"

„კრასნაია ზვეზდას"—ლენინურ-სტალინური იდეების მებრძოლ მედროშეს, წითელარმიელთა, მეთაურთა და წითელი არმიის პოლიტმუშაკთა ბოლშევიკურ აღმზრდელს მისი სახელოვანი არსებობის თხუთმეტი წლის შესრულების დღეს — ბოლშევიკური სალამი.

„კრასნაია ზვეზდას" დღითიდღე შეაქვს მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა მასებში კომუნისტური სიტყვა, ეხმარება წითელ არმიას გააუმჯობესოს თავისი საბრძოლო და პოლიტიკური სწავლა, შეურიგებლად აწარმოებს ბრძოლას მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგების ბოლშევიზაციისათვის.

ვუსურვებ „კრასნაია ზვეზდას" შემდგომ წარმატებებს მის პასუხსაგებ მუშაობაში. იმედი მაქვს, რომ ის იქნება კიდევ უფრო მგზნებარე აგიტატორი, კიდევ უფრო ღრმა პროპაგანდისტი მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისა და მასების მტკიცე ორგანიზატორი წითელი არმიის საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების საქმეში ყოველი მტრის გასანადგურებლად, რომელიც კი გაბედავს ჩვენს სამშობლოზე თავდასხმას.

კ. ვოროშილოვი

შრომის წიგნაკების გაცემის დამთავრების ვადის გაგრძელების შესახებ

შრომის წიგნაკების სწორად შევსების უზრუნველსაყოფად და ამ საქმეში აჩქარების თავიდან ასაცილებლად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა შრომის წიგნაკების გაცემა საწარმოებში და დაწესებულებებში გაგრძელებული იქნას ა. წ. ოცდა ხუთ იანვრამდე. (საკდესი).

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
უკრაინის სს რესპუბლიკის შემადგენლობაში სუმის, კიროვოგრადისა და ზაპოროჟიეს ოლქების შექმნის შესახებ

დამტკიცდეს უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება:

1. **სუმის** ოლქის შექმნის შესახებ ცენტრით ქალაქ სუმში.

სუმის ოლქის შემადგენლობაში მოქცეულ იქნას: ქალაქი სუმი, ხარკოვის ოლქის ახტირსკის, ბელოპოლსკის, ბოლშე - პისარევსკის, გრუნსკის, კრასნო - პოლსკის, ლებედინსკის, მიროპოლსკის, სუმის სასოფლო, ტროსტიანეცკის, ულიანოვსკის, ხოტენსკისა და შტეპოვსკის რაიონები; ჩერნიგოვის ოლქის ბურინსკის, გლინსკის, გლუხოვსკის, დუბოვ-აზოვსკის, კონოტოპსკის, კროლევეცკის, ნედრი გაილოვსკის, პუტივლსკის, რომენსკის, სერედინობუდსკის, სმელოვსკის, ტალალაევსკის, ხილჩიცდსკის, ჩერვონის, შალიგინსკის, შოსტკინსკისა და იამპოლსკის რაიონები; პოლტავის ოლქის ლიპოვო-დოლინსკისა და სინევსკის რაიონები.

2. **კიროვოგრადის** ოლქის შექმნის შესახებ ცენტრით ქალაქ კიროვოში, ქალაქ კიროვის კიროვოგრადად გადარქმევით.

კიროვოგრადის ოლქის შემადგენლობაში მოქცეულ იქნას: ქალაქი კიროვოგრადი, ნიკოლაევის ოლქის ადჟამსკის, ალექსანდრიისკის, ბობრინეცკის, ვიტიაზევსკის, დოლინსკის, ელიზავეტგრადის, ზნამენკის, კიროვოგრადის სასოფლო, კომპანეევსკის, ნოვოგორდკოს, ნოვო-პრაჟსკის, პეტროვსკისა და უსტინოვსკის რაიონები; ოდესის ოლქის ბალშევისკოვსკის, დობროველიჩკოვსკის, მალო-ვისკოვსკის, ნოვო-არხანგელსკის, ნოვო - მირგოროდის, ხოვოუკრაინსკის, პესჩანო - ბროდსკის, როვნიანსკის, ტიშკოვსკისა და ხმელევსკის რაიონები; კიევის ოლქის ალექსანდროვსკის, ზლატოპოლსკის, კამენკის, პოდვისოცკისა და ჩიგირინის რაიონები; პოლტავის ოლქის ნოვო - გიორგიევსკისა და ონუფრიევსკის რაიონები.

3. **ზაპოროჟიეს** ოლქის შექმნის შესახებ ცენტრით ქალაქ ზაპოროჟიეში.

ზაპოროჟიეს ოლქის შემადგენლობაში მოქცეულ იქნას: ქალაქი ზაპოროჟიე, დნეპროპეტროვსკის ოლქის აკიმოვსკის, ანდრეევსკის, ბერდიანსკის, ბოლშე - ბელოზერსკის, ბოლშე - ტოკმაკსკის, ვასილიევსკის, ვესიოლოვსკის, გენიჩესკის, გულიაი-პოლეს, ივანოვსკის, კამენსკო-დნეპროვსკის, კოლაროვსკის, კრასნოარმეისკის, ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის, ლუქსემბურგის, მელიტოპოლის, მიხაილოვსკის, მოლოჩანსკის, ნიჟნე-სეროგოზსკის, ნოვოვასილიევსკის, ნოვო - ზლატოპოლსკის, ნოვო - ნიკოლაევსკის, ორეხოვსკის, პოლოგსკის, პრიაზოვსკის, როტფრონტოვსკის, სივაშისა და ჩერნიგოვის რაიონები; ნიკოლაევის ოლქის ბოლშე-ლეპეტინსკის და ნოვო - ტროიცკის რაიონები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1939 წ. 10 იანვარი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
სსრ კავშირის თავდაცვითი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გაყოფის შესახებ

სსრ კავშირის თავდაცვითი მრეწველობის სახალხო კომისარიატი გაიყოს ოთხ სახალხო კომისარიატად:

1. სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატი, რომლის შემადგენლობაშიაც შევიდეს:

ა) თვითმფრინავთა მშენებლობის ქარხნები;

ბ) საავიაციო მოტორების ქარხნები;

გ) საავიაციო ხელსაწყოებისა და რაციების ქარხნები.

2. სსრ კავშირის გემთმშენებლობის მრეწველობის სახალხო კომისარიატი, რომლის შემადგენლობაშიაც შევიდეს:

ა) საზღვაო და სამდინარეო გემთმშენებლობის ქარხნები;

ბ) საზღვაო ხელსაწყოებისა და აკუმულატორების ქარხნები.

3. სსრ კავშირის საბრძოლო მასალათა სახალხო კომისარიატი, რომლის შემადგენლობაშიაც შევიდეს:

ა) საბრძოლო მასალათა დამამზადებელი ქარხნები;

ბ) დენთის წარმოების ქარხნები.

4. სსრ კავშირის შეიარაღების სახალხო კომისარიატი, რომლის შემადგენლობაშიაც შევიდეს:

ა) საარტილერიო ქარხნები;

ბ) სასროლო შეიარაღების ქარხნები;

გ) ოპტიკური მრეწველობის ქარხნები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1939 წ. 11 იანვარი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისრად ამხ. მ. მ. კაგანოვიჩის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისრად ამხ. მიხეილ მოსეს-ძე კაგანოვიჩი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1939 წ. 11 იანვარი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
სსრ კავშირის გემთმშენებლობის მრეწველობის სახალხო კომისრად ამხ. ი. თ. თევოსიანის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს სსრ კავშირის გემთმშენებლობის მრეწველობის სახალხო კომისრად ამხ. ივანე თევდორეს-ძე თევოსიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1939 წ. 11 იანვარი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
სსრ კავშირის საბრძოლო მასალათა სახალხო კომისრად ამხ. ი. პ. სერგეევის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს სსრ კავშირის საბრძოლო მასალათა სახალხო კომისრად ამხ. ივანე პავლეს-ძე სერგეევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1939 წ. 11 იანვარი.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
სსრ კავშირის შეიარაღების სახალხო კომისრად ამხ. ბ. ლ. ვანნიკოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს სსრ კავშირის შეიარაღების სახალხო კომისრად ამხ. ბორის ლევის-ძე ვანნიკოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1939 წ. 11 იანვარი.

გამომუშავების ნორმების გადასინჯვა მანქანათმშენებლობისა და თავდაცვის მრეწველობის ქარხნებში
პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

9 იანვარს საბჭოების სახლში შესდგა პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. პრეზიდიუმმა განიხილა ორი საკითხი: მანქანათმშენებლობისა და თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარიატების საწარმოებში გამომუშავების ნორმებისა და სანარდო შეფასებათა გადასინჯვის შესახებ და მოწყობილობის, ინსტრუმენტისა და ხელსაწყოების საზოგადოებრივი დათვალიერების შესახებ.

სხდომას დაესწრნენ პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების ხელმძღვანელები, აგრეთვე მოსკოვის მთელი რიგი ქარხნების წარმომადგენლები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ხელფასის განყოფილების გამგე ამხ. პოგრებნოი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მანქანათმშენებლობისა და თავდაცვის მრეწველობის საწარმოებში უკანასკნელ წლებში დიდი ცვლილებები მოხდა. ეს საწარმოები შეიარაღებულია ახალი ტექნიკით. ახალმა მძლავრმა დაზგებმა და მოწყობილობამ, სტახანოვურმა ხელსაწყოებმა საგრძნობლად გააადვილეს შრომა და გაადიდეს ნაყოფიერება. სტახანოვურმა მოძრაობამ დაამსხვრია ძველი „ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები". ყველა ამ ცვლილების მიუხედავად, ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში გამომუშავების ნორმები ერთხელაც არ გადასინჯულა. ცხადია, რომ არსებული ნორმები მოძველდა. ეს ნორმები აფერხებენ შრომისნაყოფიერების გადიდებას. მაგალითად, ლენინგრადის ქარხანა „ელექტრიკში" მუშათა უმრავლესობა დღიურ ნორმებს 3-4 საათში ასრულებს. ხელფასის ფონდი 1938 წელს ქარხანამ 186 პროცენტით დახარჯა, მთლიანად საწარმოს პროდუქციის გამოშვების გეგმა კი არ შეუსრულებია.

მოსკოვის კიროვის სახელობის ქარხანა „დინამოში" 100 ფლანცის ხელით გამოსამუშავებლად ორი წლის წინათ დაწესებული იყო ნორმა 7 საათი და 52 წუთი. ჯერ კიდევ გასულ წელს მოხდა ფლანცების წარმოების პროცესის რაციონალიზაცია. ახლა 100 ფლანცს 10 წუთში უშვებენ, ნორმა კი ძველი დარჩა.

სხდომაზე გამოსული ამხ. შვერნიკი დაწვრილებით შეჩერდა პროფკავშირების ამოცანებზე მანქანათმშენებლობისა და თავდაცვის მრეწველობის საწარმოებში ხელფასის სისტემის მოწესრიგების საქმეში.

თავის გადაწყვეტილებაში პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქარხნო კომიტეტებს, საქარხნო და საამქრო კომიტეტებთან არსებულ ხელფასის კომისიებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამეურნეო ორგანოთა მიერ გამომუშავების ნორმების გადასინჯვასა და სანარდო შეფასებათა შემცირების გეგმის შედგენაში.

გამომუშავების ნორმების გადასინჯვაში ფართოდ უნდა იქნან ჩაბმული სტახანოველები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები.

მეორე საკითხზე გამოვიდა კოლომნის ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ტიმოფეევი და ქარხკომის წევრი ამხ. ლიპატოვი. მათ ილაპარაკეს იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც ქარხანაში სტახანოველთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ინიციატივით ჩატარდა მოწყობილობის, ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების საზოგადოებრივი დათვალიერებისათვის.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა თავის დადგენილებაში აღნიშნა საზოგადოებრივ დათვალიერებათა უდიდესი მნიშვნელობა და მიუთითა, რომ საჭიროა კოლომნელთა გამოცდილების ფართოდ გავრცელება ყველა სამრეწველო საწარმოში. (საკდესი).



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი **შალვა ნიკოლოზის-ძე დადიანი** მისი სასცენო და სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავის შესრულების გამო, რომელიც აღინიშნება 1939 წლის იანვარში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია
(ერთი წლისთავი სესიის გახსნიდან)

1937 წლის 12 დეკემბერს, არაჩვეულებრივი ერთსულოვნებითა და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობით შემჭიდროებულმა დიადმა საბჭოთა ხალხმა ხმა მისცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს. ესენი იყვნენ ხალხის კანდიდატები, კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი სტალინური ბლოკის სახელოვანი კანდიდატები, ლენინ-სტალინის პარტიისა და სოციალისტური სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანები.

საბჭოთა ხალხმა ეს ადამიანები აირჩია თავისი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, რომლის პირველი სესია შესდგა სწორედ ერთი წლის წინათ, 1938 წლის 12 იანვარს.

საბჭოთა ხალხმა სსრ კავშირის უმაღლესი ორგანო — სოციალიზმის ქვეყნის პარლამენტი, აირჩია დიადი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, კონსტიტუციისა, რომელმაც ხალხს მიანიჭა შრომის, დასვენების, სწავლის და ბედნიერი სოციალისტური ცხოვრების უფლება; ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის უფლება, ფარული კენჭისყრით საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების უფლება.

სოციალიზმის ქვეყნის პარლამენტი! ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების ეს უმაღლესი ორგანო სრულიადაც არა ჰგავს ბურჟუაზიული სახელმწიფოების პარლამენტს. იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში, პარლამენტი არის ერთი მუჭა მდიდრების ორგანო მშრომელთა ფართო მასების წინააღმდეგ. ჩვენში, საბჭოების დიად ქვეყანაში, პარლამენტი არის მთელი საბჭოთა ხალხის ორგანო, მისი საარსებო ინტერესების დამცველი ორგანო.

ბურჟუაზიული პარლამენტების დამახასიათებელი ხმაურის, დაუსრულებელი ლაყბობისა და ფაციფუცის გარეშე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მუშაობა უაღრესად შინაარსიანი, საქმიანი და ბრძნული იყო. სესიამ განიხილა სახელმწიფო მნიშვნელობის დიდი საკითხები, რომელთა სწორად გადაჭრამაც კოლოსალური გავლენა მოახდინა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ მშენებლობაზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების წინსვლაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე შეიტანა ცვლილებანი და დამატებანი სტალინური კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში, დაამტკიცა გადაწყვეტილება ახალი სახალხო კომისარიატების — მანქანათმშენებლობის, სამხედრო - საზღვაო ფლოტისა და დამზადებათა სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ.

ორივე პარლამენტის გაერთიანებულ სხდომაზე საბჭოთა პარლამენტმა აირჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — ძველი და ნაცადი ბოლშევიკი, მშრომელთა დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის უერთგულესი თანამებრძოლი, ამხანაგი მ. ი. კალინინი. აირჩია აგრეთვე მისი 11 მოადგილე, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი და წევრები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ ორივე პალატის სხდომაზე დიდი სტალინის უერთგულესი თანამებრძოლის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მეთაურობით შეადგინა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა, რომელიც განუხრელად ატარებს ცხოვრებაში ლენინ-სტალინის პარტიის ხაზს, ჩვენი ქვეყნის კომუნიზმისაკენ მოძრაობისა და წინსვლის ხაზს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე, ხელმძღვანელობდნენ რა დიდი სტალინის მითითებით, თუ როგორი უნდა იყოს დეპუტატი და როგორ უნდა მუშაობდეს ის, მთელმა რიგმა დეპუტატებმა სამართლიანი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს მეურნეობისა და კულტურის ზოგიერთი დარგის ხელმძღვანელები, რომლებიც ასცდნენ ერთადერთ სწორ ლენინურ-სტალინურ გზას და მოსწყდნენ ხალხს, გასწყვიტეს კავშირი მასებთან.

შინაარსით სავსე ბოლშევიკურმა კრიტიკამ, დეპუტატების სიტყვებმა და ამხანაგ მოლოტოვის ბრწყინვალე სიტყვამ ყველა დეპუტატს მოაგონა ამხანაგ სტალინის უკვდავი სიტყვები იმის შესახებ, რომ დეპუტატებს ყოველთვის თვალწინ უნდა ედგათ დიდი ლენინის სახე და ყველაფერში ჰბაძავდნენ ლენინს.

აღჭურვილნი ლენინურ-სტალინური მითითებებით, სსრ კავშირის პირველი სესიის დახურვისთანავე დეპუტატები დაუბრუნდნენ თავიანთ სოფლებს და ქალაქებს, ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებს და შეუდგნენ მუშაობას, ხალხის მიერ დავალებული საქმის კეთებას, ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების შესრულებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის შემდეგ განვლილი ერთი წლის მანძილზე ჩვენმა ქვეყანამ გადადგა მძლავრი ნაბიჯი კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. მიმდინარე წელს ბოლშევიკების პარტიის, სახელოვანი საბჭოთა მთავრობისა და გენიალური სტალინის წინამძღოლობით, დიადი საბჭოთა ქვეყანა მოიპოვებს ახალ მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებებს კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე.

მარინა რასკოვა სოხუმში

სოხუმი, 11 იანვარი (ტელეგრ. საქ. კორ.). 10 იანვარს სოხუმში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის გმირი, თვითმფრინავ „როდინას" გმირული ეკიპაჟის მონაწილე მარინა რასკოვა.

რასკოვა ამჟამად ისვენებს სოჭში. სოხუმში ჩამოვიდა მცირე ხნით აფხაზეთის დედაქალაქისა და საინტერესო ადგილების დასათვალიერებლად.

ქრონიკა

საბჭოთა კავშირ-ესტონეთის შეთანხმება სავაჭრო ბრუნვის შესახებ, რომელიც 1938 წელს მოქმედებდა, გაგრძელებულია 1939 წლისათვის. (საკდესი).

ყოველმხრივ დავეხმაროთ მოსახლეობის აღწერის მუშაკებს

იანვარი
17
მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის დასაწყისია

არცერთი გამოტოვება, არცერთი შეცდომა

10 იანვარს, შესდგა აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგი, მიძღვნილი მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1939 წლის 8 იანვრის მიმართვისადმი.

— მომავალი აღწერა საყოველთაო-სახალხო საქმეა,—ასე დაიწყო თავისი შესავალი სიტყვა აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტკომის მდივანმა ამხ. ე. ძნელაძემ.—იგი მოწოდებულია უდიდესი როლი შეასრულოს მთელ ჩვენს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. იგი მიმართულია სოციალიზმის ქვეყნის ძლიერებისა და კეთილდღეობის შემდგომი განმტკიცებისაკენ. ეს კი თვითეულ ჩვენგანს ავალებს უზრუნველჰყოს აღწერის მუშაკებისადმი ყოველგვარი დახმარება.

მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს ფაბრიკის ეკონომისტმა ამხ. თოფურიამ, საქსოვი საამქროს სტახანოველმა მქსოველმა ე. არუთინოვამ, ამავე საამქროს მქსოველმა აირაპეტოვამ და სხვ.

მომხსენებელმა და სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა, გამოხატეს რა თავიანთ სიტყვებში მიტინგის ყველა მონაწილეთა განწყობილება, იკისრეს აქტიური მონაწილეობა მიიღონ აღწერაში, სააღწერო ფურცლის ყველა კითხვაზე გასცენ ზუსტი და ამომწურავი პასუხი, ფართოდ განუმარტონ ერთმანეთს მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა.

— არცერთი გამოტოვება, არცერთი შეცდომა,—ასეთი იყო მიტინგის მონაწილეთა საქმიანი პასუხი ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს მიმართვაზე.

მიტინგი კამოს სახელობის ქარხანაში

10 იანვარს თბილისის კამოს სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში ჩატარდა მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, მიძღვნილი მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერისადმი.

ქარხნის პარტკომის მდივანმა ამხ. ე. იუზეფოვიჩმა დამსწრეთ გააცნო საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1939 წლის 8 იანვრის მიმართვა საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქისადმი მომავალი აღწერის ორგანიზებულად და უნაკლოდ ჩატარების შესახებ.

სიტყვებით გამოსული ამხანაგები: მ. ფომინი, გეურქოვა და სხვები აგრეთვე აღნიშნავდნენ, რომ მომავალი აღწერა საყოველთაო-სახალხო საქმეა, რომელსაც დახმარებას უნდა უწევდეს ყველა პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე.

თბილისი ემზადება აღწერისათვის

ამჟამად თბილისში ძირითადად დამთავრებულია მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერისათვის მოსამზადებელი სამუშაოები. ნაცვლად დადგენილებით გათვალისწინებული 1819 აღმწერისა, მომზადებულია 1824 აღმწერი, 30 პროცენტი რეზერვის დაცვით. გარდა ამისა, მომზადებულია 285 ინსტრუქტორ-კონტროლიორი, 26 განყოფილების გამგე და 32 მათი თანაშემწე. უნდა აღინიშნოს, რომ აღწერისათვის შერჩეულია მაღალკვალიფიციური კადრები, რომელთა უმრავლესობაც მონაწილეობას ღებულობდა მოსახლეობის 1937 წლის სრულიად-საკავშირო აღწერაში.

სსრკ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს ინსტრუქციის თანახმად, 25 დეკემბერს თბილისის ხუთსავე რაიონში დამთავრდა სახლთმფლობელობათა სიების შემოწმება. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მილიციის ზოგიერთი განყოფილების დაუდევრობით მთელ რიგ ადგილებში საბინაო დავთრები ზუსტად არ იყო შევსებული. ეწერათ ნაკლები, ვიდრე სინამდვილეში იყო, და პირიქით. 5 თვის წინათ გარდაცვლილი, 2 წლის წინათ ქალაქიდან წასული კაცი არ იყო საბინაო დავთრიდან ამოწერილი. სამაგიეროდ 3-5 თვის წინათ დაბადებული ბავშვები ჩაუწერავი აღმოჩნდა. ამ დამახინჯებებს უმთავრესად ადგილი ჰქონდა ორჯონიკიძისა და 26 კომისრის რაიონებში. ამჟამად ქალაქის მთელ ტერიტორიაზე დამთავრებულია სახლების ნომერაცია.

5 იანვარს მთლიანად დაზუსტებულ იქნა აღწერის საორგანიზაციო გეგმა. მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით აღწერის კადრს მოემატა 35 აღმწერი.

განსაკუთრებით კარგად არის დაყენებული მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა. ყველა რაიონში რაიონული კომიტეტების მდივანთა მიერ ჩატარებულ იქნა მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის შესახებ საინსტრუქტაჟო თათბირები ინსტრუქტორებთან, პროპაგანდისტებთან და პარტკომების მდივნებთან ცალცალკე; ანალოგიური თათბირები ჩაატარა თბილისის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. არ. გიორგაძემ თბილისის სკოლის დირექტორებთან. ყველა ამათ სათანადო ენებზე დაურიგდათ „აგიტატორის ბლოკნოტები". სააგიტაციო - საპროპაგანდო სამუშაოებში ჩაბმული არიან როგორც თბილისის საბჭოს, ისე რაიონული საბჭოს დეპუტატები. ისინი აგიტაციას აწარმოებენ უმთავრესად არაორგანიზებულ მოსახლეობაში.

მოსახლეობის აღწერის თემაზე ქალაქის ტერიტორიის გასაფორმებლად თბილისის საბჭოს მიერ გადადებულია 22 ათასი მანეთი. ყველა დიდ ობიექტში გაიკვრება პლაკატები, ლოზუნგები და სააგიტაციო ხასიათის ნახატები.

ქალაქში ამჟამად მუშაობს 22 სააღწერო განყოფილება, 179 საინსტრუქტორო და 1037 სააღწერო უბანი. განყოფილებები უზრუნველყოფილია განათებით, გათბობით, ტელეფონით და სააღწერო ინვენტარით. ჩამოყალიბებულია განსაკუთრებული სააღწერო განყოფილება თბილისის რკინიგზის სადგურებზე, რომლებიც აღწერას აწარმოებენ სადგურებსა და მატარებლებში 16-სა და 17 იანვარს ღამით.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელმა რიგმა რაისაბჭოებმა დღემდე ვერ უზრუნველჰყვეს ტრანსპორტით სააღწერო განყოფილებათა გამგეები და აღრიცხვის ინსპექტორები. უმთავრესად ამ მდგომარეობას ადგილი აქვს ორჯონიკიძის და სტალინის რაიონებში. აღნიშნული რაიონების საინსტრუქტორო უბნები არც ტელეფონებით არიან მთლიანად უზრუნველყოფილი.

აღწერის დღემდე ცოტა დროღა დაგვრჩა, დადგა აღწერის წარმატებით ჩატარების გადამწყვეტი დღეები. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ისე, როგორც სხვაგან, ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქში მყოფი არცერთი მოქალაქე არ დარჩეს აღწერის გარეშე. ამას კი შევძლებთ მაშინ, როდესაც დაწესებულებათა ყველა ხელმძღვანელი უზრუნველჰყოფს თავისი დაწესებულებიდან გამოსული აღმწერის დანიშნულ ადგილზე დაუგვიანებლივ გამოცხადებას.

ნ. არღანაშვილი

თბილისის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს უფროსი.

აღწერის მუშაკთა საინსტრუქტაჟო თათბირი

9 იანვარს შესდგა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მესამე სააღწერო განყოფილების მუშაკთა საინსტრუქტაჟო თათბირი, რომელსაც დაესწრო 58 აღმწერი და 6 ინსტრუქტორ-კონტროლიორი (რეზერვის ჩათვლით). თათბირს არასაპატიო მიზეზით არ დაესწრო 5 აღმწერი.

თათბირმა განიხილა სააღწერო ფურცლისა და აღმწერის უბის წიგნაკის შევსების, 12-16 იანვარს სააღწერო უბნების წინასწარი შემოვლისა და მომავალი მუშაობის სხვა საკითხები. თათბირის მონაწილენი იძლეოდნენ მეტად საინტერესო კითხვებს სააღწერო ფურცლის შევსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კითხვებს თვითონ აღმწერები აძლევდნენ პასუხს. საბოლოო და ზუსტ პასუხს კითხვებზე იძლეოდნენ თბილისის აღწერის ბიუროს უფროსი კონსულტანტი — ვ. პაპავა, რაიინსპექტორი — ალ. კაპანაძე, მისი თანაშემწე დ. ბერიშვილი და მესამე სააღწერო განყოფილების გამგე—ნ. ტყეშელაშვილი.

დასმულ კითხვებზე პასუხის მიცემის დროს აქტივობას იჩენდნენ აღმწერლები—ხლ. ტატიშვილი, გ. ბერიძე, თ. პაპავა, შ. ჩიქოვანი და სხვ.

თათბირმა გამოამჟღავნა, რომ ზოგიერთმა აღმწერმა ჯერ კიდევ არ იცის, თუ როგორ უპასუხოს სააღწერო ფურცლის კითხვებს. მაგალითად, დაისვა ასეთი კითხვა — ვთქვათ, ხულოს რაიონის მუდმივი მცხოვრები, რომელმაც აღწერა უკვე გაიარა, აღწერის მომენტში იმყოფება თბილისში, მას როგორც ხულოს მუდმივ მცხოვრებს, არა აქვს ცნობა აღწერის გავლის შესახებ, როგორ მოიქცევა აღმწერი, როცა ასეთ მოქალაქეს შეხვდება? ერთმა აღმწერმა უპასუხა, — რაკი მას ცნობა არ ექნება, მე ის ხელმეორედ უნდა შევიტანო სააღწერო ფურცელშიო. ამგვარი ხასიათის შეცდომებს ზოგიერთი აღმწერები ხშირად უშვებდნენ.

თათბირის დასასრულ, ინსტრუქტორ - კონტროლიორებმა და აღმწერებმა—შ. ტყეშელაშვილმა, ი. ლობჟანიძემ, მ. თოფურიამ, ი. ესებუამ, შ. ღლონტმა, ე. მარიევამ, თ. გორგაძემ და სხვებმა, თავიანთ უბნებში აღწერის საუკეთესოდ ჩატარების მიზნით ერთმანეთი გამოიწვიეს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

აღრიცხვის თბილისის ორჯონიკიძის რაიინსპექტორის ამხ. ალ. პაპავას საყურადღებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ აღმწერთა ინსტრუქტაჟი საინსტრუქტორო უბნებში არ გაგრძელდა, ისე მესამე სააღწერო განყოფილების ზოგიერთი აღმწერი არ გამოდგება ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმისათვის.

აკ. შონია

აჭარამ მიიღო მოსახლეობის აღმწერ მუშაკებისათვის მკერდის ნიშანი—ჟეტონი

აჭარის ასსრ აღრიცხვის სამმართველომ ლენინგრადიდან უკვე მიიღო მოსახლეობის აღმწერი მუშაკებისათვის 600 ცალი მკერდის ნიშანი—ჟეტონი.

აღნიშნული ნიშნები—ჟეტონი მოსახლეობის აღწერის წინ დაურიგდება აღწერაში მონაწილე ყველა მუშაკს. (საქტესი).

პლენუმი აღწერის საკითხებზე

(სტალინირი. საკ. კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში შესდგა სტალინირის ქალაქის საბჭოს პლენუმი, რომელმაც განიხილა მოსახლეობის აღწერისათვის მზადების საკითხები. ამხ. ვ. ბეკოევის მოხსენებიდან და კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ ქალაქის საბჭომ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა აღწერისათვის მზადებაში: ყველა უბანში ჩატარდა მშრომელთა კრებები აღწერის საკითხებზე. სადეპუტატო ჯგუფების და საბჭოს წევრების მეშვეობით აღმოჩენილ იქნა 370 უნომრო სახლი. კარგად მუშაობენ ებრაელთა და კასრაანთ-უბნების სადეპუტატო ჯგუფები (თავმჯდომარეები — გ. ჯირკვალიშვილი და ან. ტიბილოვი).

პლენუმმა აღნიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებები. ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული ქალაქის სქემატური რუკა. შემოწმებული არ არის სახლთმფლობელთა წიგნაკები. III და VI სააღწერო უბნებში დამთავრებული არ არის სახლების ნომერაცია. ჯავის, გზატკეცილისა და ცენტრალური უბნის ქუჩების ზოგიერთ შესახვევს მიკუთვნებული არა აქვთ სახელწოდება, რაც ქალაქის საბჭოს კომუნალური განყოფილების უმოქმედობის შედეგია. III და VI სააღწერო უბნებს სპეციალურად გამოყოფილი ბინები არა აქვთ. საქალაქო საბჭოსთან არსებული აღწერის ხელშემწყობი კომისია არადამაკმაყოფილებლად მუშაობს.

აღრიცხვის ინსპექტორი ე. ცხოვრებოვი სუსტად ხელმძღვანელობს აღწერისათვის მზადებას. ინსპექტორის მოვალეობის შესრულებასთან ერთად იგი სხვა სამუშაოსაც ასრულებს. ის დღესაც განაგრძობს გაკვეთილების გადაცემას სკოლაში, თუმცა ამის გამო მას მიეთითა.

პლენუმმა დასახა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი ნაკლოვანებების სასწრაფოდ აღმოფხვრისათვის.

ვ. ტრაპაიძე

ამბროლაურის რაიონში

ამბროლაური, (საქტესი). რაიონის მშრომელები ემზადებიან მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერისათვის. წარმოება - დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში და სკოლებთან გამოყოფილია აღწერის ხელისშემწყობი კომისიები. ჩატარებულია მშრომელთა სიების ზუსტი შემოწმება. სააღწერო უბნებში გაჩაღებულია ახსნა - განმარტებითი მუშაობა.

რაიონის წარმოება - დაწესებულებების ზოგიერთმა ხელმძღვანელმა და თვით ზოგიერთმა შერჩეულმა აღმწერმა უგულებელჰყვეს აღწერის კადრების მომზადების საქმე. სრულიად არ გამოცხადებულან 3 დღიან კურსებზე აღმწერები: შ. ასათიანი (ქუცეის სას. საბჭო), შ. ჯავახიძე, მარიამ ტყეშელაშვილი (ხვანჭკარის სას. საბჭო) და სხვები. მათი დასწრების უზრუნველსაყოფად არც აღნიშნულ წარმოება-დაწესებულებებს მიუღიათ ზომები და არც რაიონულ აღმასკომს. ასეთი დამოკიდებულება კი აფერხებს აღწერის საქმეს.

სოფ. ნატანების (მახარაძის რაიონი) მოსახლეობის აღმწერლები სოფლის საბჭოს თავმჯდომარესთან ერთად ამოწმებენ მოსახლეობის სიებს. **სურათზე:** მარცხნიდან მარჯვნივ — სამუელ ღლეყვა (აღმწერი), მიხეილ ღლეყვა (ნატანების სოფლის საბჭოს თავმჯდომარე) და ვასო დონაძე (აღმწერი).

ფოტო რ. აკოფოვისა

ხასანის გმირები ტყვარჩელში

სოხუმი, 11 იანვარი (ტელეგრ. საკ. კორ.). 10 იანვარს ტყვარჩელის მაღაროს მუშებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს და მოსამსახურეებს სტუმრად ეწვია ხასანის ბრძოლების მონაწილეთა ერთი ჯგუფი, რომელიც შვიდი კაცისაგან შესდგება. ყველა ორდენოსანია, ხოლო ერთი მათგანი, წითელარმიელი ჩუიკოვი, რომელიც ოცდაოთხი წლისაა, საბჭოთა კავშირის გმირია. ტყვარჩელის მაღაროელები გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს. ხასანის გმირები დიდად დაინტერესდნენ მაღაროს ისტორიითა და მუშაობით. ამის შესახებ მათ ფართოდ მოუთხრო ტრესტის მმართველმა ამხ. ვორობიოვმა; მან ილაპარაკა ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროს დიდ მნიშვნელობაზე ჩვენი ქვეყნისათვის, შეეხო აგრეთვე უკრაინისა და საქართველოს მაღაროელთა შეჯიბრებისა და ალექსი სტახანოვის მომავალი ჩამოსვლის საკითხებს, რამაც ხასანელთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. საღამოს მუშათა კლუბში შეიკრიბა ხუთასამდე მაღაროელი. მაღაროს კლუბი მთლიანად სავსე იყო ხალხით; შესდგა შეხვედრის მიტინგი. მისალმების პირველი სიტყვა წარმოსთქვა ცნობილმა სტახანოველმა მაღაროელმა პირველი უბნის ბრიგადირმა ანდრეი ბესარაბმა. მან სიტყვა მისცა ხასანელებს, რომ კიდევ უფრო გააძლიერებენ ქვანახშირისათვის ბრძოლას, და უსურვა მათ ხანგრძლივი გმირული სიცოცხლე. მოკლე, მაგრამ მეტად შინაარსიანი იყო საბჭოთა კავშირის გმირის ჩუიკოვის სიტყვა. მან ხალხს მოუთხრო იმ დიდი ენთუზიაზმის შესახებ, რომლითაც გამსჭვალული იყო ხასანის ბრძოლების თვითეული მონაწილე, და ის, თუ როგორ გაიქცა თვითონ ჰოსპიტალიდან მძიმედ დაჭრილი და ეხმარებოდა ამხანაგებს ბრძოლაში. საინტერესო იყო აგრეთვე ტანკისტის, ახალგაზრდა უფროსი ლეიტენანტის კრაპივინცევის სიტყვა. მან დამსწრეთ მოუთხრო იმ გმირული ეპიზოდის შესახებ, როცა ის და მისი ტანკის წამყვანი დაიჭრნენ ბრძოლის დროს. ტანკის წამყვანმა, რომელიც იმ დღეებში შევიდა კომკავშირში და ბრძოლის ველზე სასიკვდილოდ იყო დაჭრილი, მაინც შესძლო მტრის ქვემეხის [illegible] სანგრევის ოსტატმა [illegible] ხასანის მებრძოლებს [illegible] სტახანოვური სალამი და სთქვა, რომ საჭიროების შემთხვევაში თავისი სანგრევის მანქანიდან ის გადაჯდება ტანკზე და აღტაცებით წავა ბრძოლაში ფაშისტების წინააღმდეგ. მაღაროს მუშა-ქალებისა და დიასახლისების სახელით ხასანელებისადმი მხურვალე მისალმებით გამოვიდა კუზმინა. ხასანის ბრძოლების მონაწილემ ორდენოსანმა ნოვიკოვმა მაღაროელებს მოუთხრო ხასანის ბრძოლების შესახებ, ხოლო კაპიტანმა პოდერინმა მათ გადასცა მრავალი საინტერესო ეპიზოდი ბრძოლებიდან. მეტად საინტერესო იყო მის მიერ მოთხრობილი ამბავი უმცროსი მეთაურის ლოსკუტოვის შესახებ. ლოსკუტოვი საწყობის გამგე იყო. მძაფრი შეტევის წინ მან სურსათი მოიტანა ფრონტზე, იქ, სადაც პოდერინის მებრძოლები შეტევისათვის ემზადებოდნენ. ლოსკუტოვმა ვერ მოითმინა და მიმართა კაპიტანს გაეგზავნა ისიც ფრონტზე. კაპიტანისაგან სამჯერ მიიღო მტკიცე უარი, მაგრამ მანამდე არ მოეშვა, სანამ თავისი არ აისრულა, და ბრძოლების დროს გამოიჩინა უდიდესი გმირობა. მან მტრის ცეცხლისაგან დაიცვა მთელი ოცეული, რომელიც მტრის ზურგში მიიპარებოდა. ის მრავალჯერ დასჭრეს, მაგრამ ჰოსპიტალში არ გაჩერდა. უმცროსმა მეთაურმა ტიბეკინმა მოუთხრო იმის შესახებ, თუ როგორ დასჭრეს ის სამჯერ, მაგრამ მებრძოლებისათვის არ გაუმხელია და უკანასკნელ ძალღონემდე იბრძოდა მტრის გასანადგურებლად. გამოვიდა აგრეთვე უმცროსი მეთაური ტიუტოვი და მახკო.

მაღაროს ინტელიგენციის სახელით ხასანელებს მიესალმა ინჟინერი რევიშვილი, ხოლო ყველა მუშებისა და მოსამსახურეების სახელით მათ მადლობა გადაუხადა პარტკომის მდივანმა გეგელიამ.

ხასანელებმა დაათვალიერეს მაღარო, გაეცნენ ოთხმოცდამეშვიდე ლავის მუშაობას.

ხასანელთა პატივსაცემად მოეწყო ვახშამი, რის შემდეგ ხასანის გმირები დაბრუნდნენ სოხუმში.

გ. მერკვილაძე

კოლხიდმშენის ევკალიპტის სანერგეში

ფოთი, 11 იანვარი (საქტესი). კოლხიდმშენის ევკალიპტის სანერგეში დამთავრდა 5 სათბურის მშენებლობა თვითეული 100 ათასი კვადრატული მეტრი ფართობით. 5 ასეთივე სათბური მშენებლობის პროცესში იმყოფება.

მიმდინარე წლის გაზაფხულისათვის გამოყვანილია 2 მილიონი ნერგი. ამ რიცხვიდან 143 ათასი ნერგი კი 15 სანტიმეტრის და უფრო მეტი სიმაღლისაა და სავსებით მზად არის გადასარგავად.

ბორჩალოს რაიონმა შეასრულა თამბაქოს დამზადების გეგმა

ბორჩალო, 11 იანვარი (საქტესი). 11 იანვრისათვის თამბაქოს დამზადების წლიური გეგმა ბორჩალოს რაიონში შესრულებულია ვადამდე 100,2 პროცენტით. თამბაქო კარგი ხარისხისაა. დამზადება გრძელდება.

უკანასკნელი ფოსტა

როცა რედაქტორი თავს არ იწუხებს

მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად, ზესტაფონის რაიონის მშრომელებმა დიდიხანია გაიცნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდების დაწესებისა და მედლების—„შრომითი მამაცობისათვის" და „შრომითი წარჩინებისათვის" დაწესების შესახებ.

ასევე საკმაო დროა მას შემდეგ რაც გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო ფიცის ტექსტის, მუშურ-გლეხური სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო ფიცის ტექსტის, სამხედრო ფიცის დადების წესის და სხვ. შესახებ.

ყველა ეს ბრძანებულებანი საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომისა და რაიაღმასკომის სამდღიური ორგანოს გაზეთ „ლენინელის" რედაქციას შეუგროვებია და ერთად დაუბეჭდია თავისი 10 იანვრის ნომერში. ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების დაგვიანებით დაბეჭდვასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ გაზეთი მთლიანად ოფიციალური მასალებით არის გავსებული. ორიგინალური ამ ნომერში მხოლოდ ლექციების ცხრილია და პასუხისმგებელი რედაქტორის ვლ. გველესიანის ხელმოწერა.

ადვილია ასეთი რედაქტორობა!

შალვა დადიანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი

დეპუტატის მოგონება

(პირველი სესიის შთაბეჭდილებებიდან)

... როდესაც თვალს გადაავლებ კრემლის სასახლის დარბაზში შეკრებილ უმაღლეს საბჭოს დეპუტატებს, ასე გგონია — მრავალფეროვანს, მაღალის ოსტატობით შესრულებულს დიდი მხატვრის სურათს შესცქერი.

განსაკუთრებით, როდესაც ორივე პალატის გაერთიანებული სხდომებია.

რესპუბლიკების წარმომადგენელთა შორის ბევრი თავის ნაციონალურ ტანისამოსშია გამოწყობილი. ეს კი ცოცხალს, თვალნათლივ სურათს იძლევა იმისას, თუ რა მრავალეროვნებათა შვილები შეკრებილან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

და მთელი ამ დეპუტატების შემადგენლობას, ყველა ეროვნებათა წარმომადგენლებს, სულ სხვადასხვა 54 ენაზე მოლაპარაკე ხალხს, ერთი, ყველასათვის გასაგები, ენა აქვს:

ენა თავის დიდ, სოციალისტურ სამშობლოსადმი სიყვარულისა, ენა ლენინ-სტალინის პარტიისადმი ურყევი ნდობისა და ერთგულებისა.

აქ არიან ჭაღარა-მოსილი, სახელოვანი მეცნიერები, კავშირის გმირი მფრინავები, წარჩინებული სტახანოველები, მაღაროელები და კომბაინერები, ფეიქრები, ბამბის საქმის და აყვავებული ციტრუსების ოსტატები, სახელოვანი ინჟინრები, ორდენოსანი წითელარმიელები, მწერლები, არტისტები და სხვ.

და რა სხვადასხვანაირია მათი ბიოგრაფია, თან რა საკვირველი.

თუმცა...

ჩვენ აღარ გვაკვირვებს უჩვეულო ბიოგრაფიები, რადგან ჩვენ ვიცნობთ მეწყემსებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში აღიზარდნენ და ახლა სამთელქვეყნო სახელი აქვთ მოპოვებული; უპატრონო, ერთ დროს მაწანწალა ბავშვებს, ახლა თვალსაჩინო მწერლები რომ გამხდარან; სოფლის გოგოებს, საბჭოების თავმჯდომარეებად რომ მუშაობენ, დაწინაურებულ დირექტორებს, ტექნიკოსებს და სხვ.

ეს უჩვეულო ბიოგრაფიები დღეს უკვე ჩვეულებრივად არის მიჩნეული და უთუოდ იმიტომ, რომ საბჭოთა ადამიანები თავიანთ ცხოვრებაზე, რომელიც აღსავსეა ხშირად მეტად ამაღელვებელ ამბებით, გმირულ მოღვაწეობით და ნამდვილი, სწორ-უტყუარი რომანტიკით, „სამი სიტყვით" ძუნწად და ზოგჯერ, დარცხვენილადაც ლაპარაკობენ, მაგალითად,

— „ისეთი არაფერი: თვითმპყრობელობის დროს დატუსაღებული ვიყავ ოხრანკის მიერ, მცემეს... გამოვიქეცი... ვსწავლობდი... სამოქალაქო ომში ორჯერ ვიყავი დაჭრილი. ტყვედ წამიყვანეს, თეთრებმა მაწამეს... ხარკოვის აღებაში მონაწილეობა მიმიღია.... ვიყავ გამომძიებლად... ეხლა რაისაბჭოს თავმჯდომარე ვარ... ჩვეულებრივი ამბავი... ნოემბერში ჩემი კანდიდატურა წამოაყენეს საკავშირო უმაღლეს საბჭოში და აი 1938 წლის იანვრის 12-ს..."

შეხედეთ, უმაღლეს საბჭოს სხდომაზე. სხვებთან ერთად, შემოდის, მაგალითად, დეპუტატი აკადემიკოსი ბოგომოლეცი..

ის ერთხელ მამა-მისმა — ერობის ექიმმა, ჯერ კიდევ ბავშვობისას ქ. კიევში ეგრეთწოდებულ „ლუკიანოვკაზე" გაიყვანა. ბავშვმა დაინახა ერთი უზარმაზარი ჩაშავებული შენობა, მაღალის გალავანით, და ფანჯრებზე და კარებზე რკინის მავთულებით. ჭიშკართან თოფიანი ჯარისკაცი იდგა.

მამამ უთხრა — შენი სამშობლო ეს არის, კარგად დაიხსომეო.

უკრაინის სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი ამხ. ბოგომოლეცი დაბადებულა 1881 წ. კიევის სატუსაღოში. იქ დედა-მისი დატუსაღებული იყო სამხრეთ-რუსეთის მუშათა კავშირის საქმის გამო. გაასამართლეს კიდეც და მიუსაჯეს კატორღა. კიევში ახლაც ცხოვრობს ერთი მოხუცი ქალი, რომელსაც ახსოვს, რომ სასამართლოს დარბაზში, სხდომის შეწყვეტის დროს, ბრალდებულთა სკამზე მჯდომ დედასთან მიჰყავდათ ახლადდაბადებული ძუძუს საწოვებლად.

ასე იწყება ამ გამოჩენილი მეცნიერის ბიოგრაფია.

მე, რასაკვირველია, შემეძლო ქართველებისაგანაც მომეყვანა ბევრი საგულისხმო ცნობები. მაგრამ ჩვენ მათ ცოტათ თუ ბევრად ვიცნობთ, ბოგომოლეცის წარსულმა და აწმყომ კი მეტად ბევრი მითხრა. ის ახლა ხალხის მსახურია. დეპუტატი საკავშირო უმაღლესი საბჭოსი და აი, მასაც ბედნიერად გაუთენდა 1938 წლის იანვრის 12.

ნაშუადღევის 4-ს 20 წუთი აკლია. დეპუტატებმა საკავშირო უმაღლეს საბჭოს დარბაზში უკვე თავი მოიყარეს.

დიდი დარბაზი საუცხოო ფერებით, ნახელოვნევი ქვებითაა მოკაზმული. ყურადღებას იქცევს პრეზიდიუმის უკან კედელთან ნიშში მოთავსებული ლენინის საუცხოო ქანდაკება — მთელის ტანით ფეხზედა დგას თითქოს ძალიან სადათ, მაგრამ შინაგანი დიდი პათოსი და განება მაღალხარისხოვანი ოსტატობით არის მოცემული. მხოლოდ, როდესაც მას პროჟექტორების მძლავრი სხივები მიადგება, თითქოს თეთრი მარმარილო თბება და თითქოს ეს ბუმბერაზი ჩვენთან იმყოფება. დარბაზში ნელი შრიალია. ხალხი ლაპარაკობს, ერთიმეორეს ესალმება, ჯდება, ადგილებს ეძებს, მაგრამ ხმაური ისეთია, თითქოს შორიდან მოისმის მდინარის დუდუნი და ტალღას შორიდებით აჩქრიალებსო.

აგერ ოთხი საათია.

არც მეტი, არც ნაკლები.

გამოვიდა...

გულის ფანცქალი, სიყვარულით აგზნებული თვალები და ქუხილი ტაშის.

გამოვიდა მთელი პოლიტბიურო, მთავრობა და ყველაზე წინ, საყვარელი **სტალინი.**

დინჯი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯი, სვლა ცოტა მხრების შერხევით; სახე, მთელი აღნაგობა დიდი სისადავის, არაფერი ზერელე პოზიორობისა, ისე, როგორც უნდა იყოს დიდი ბუნების ადამიანი, სადა და თავდაბალი. ეტყობა, რომ ფიზიკურადაც მშვენივრად არის — ჯანსაღი, მრთელი. არ ემჩნევა არც მოღლილობა, არც მოდუნება

მიდის თავის ამორჩეულ ალაგას პრეზიდიუმის ლოჟაში, კუთხეში, მარცხნით ჩვენგან და ისიც ღებულობს საერთო აღფრთოვანებაში მონაწილეობას.

ოვაცია გრძელდება რამდენიმე ათი წუთი და საკვირველია ეს ტაშისცემა. მე ამაში [illegible] დიდი აზრი დავინახე.

ჩემის ფიქრით ამ ტაშს სამი ფაზა აქვს:

პირველი — გახარება შეხვედრისათვის, მისალმება; მეორე—სიხარული, რომ ასე კარგადა ვართ, ბედნიერნი, ბევრ მიღწევათა მოწმენი და შემომქმედნი; მესამე კი—ეს უკვე მუქარაა მტრების მიმართ: იცოდეთ, აი როგორა ვართ შეერთებულნი, შედუღებულნი, შემჭიდროვებულნი. თუ რამ გაბედეთ, მთელი ქვეყანა, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგება და მოგიზღავთ საკადრისს.

ამ ტაშს ძალიან დიდი აზრი და სიმძიმე ეძლევა განსაკუთრებით უმაღლეს საბჭოს ორთავე პალატაში და ისიც დიდი სტალინის თანადასწრებით.

და აი დავადასტურეთ ყველამ ჩვენი დიდი სიხარული, ჩვენი ერთსულოვნება და მგონი თითქმის ხუთის ნახევარი იყო, რომ დეპუტატმა **ხრუშჩოვმა** წინადადება შემოიტანა საკავშირო უმაღლესი საბჭოს პირველი სესია გაეხსნა ჩვენი პალატის უხუცესს დეპუტატს აკადემიკოს **ბახს.**

ასე დაიწყო ჩვენი დაუვიწყარი სხდომები.

მთავარი, რამაც ყველა ჩვენთაგანის ყურადღება მიიქცია, ეს იყო სტილი ჩვენი სხდომისა: უჩვეულო, საზეიმო განწყობილება, სიდიადე და იმავ დროს საკვირველი, განსაკუთრებული სისადავე და საქმიანობა. ხალხის რჩეულნი სიდინჯით, ღრმა მოფიქრებით სწყვეტდნენ დიდს სახელმწიფო საკითხებს. დეპუტატთა სიტყვებიც იყო უაღრესად დაწურული, გამოზომილი, საქმიანი.

ბევრს ჩვენგანს უთუოდ სხვა წარმოდგენა ჰქონდა. ეს არც გასაკვირია. ჯერ დედამიწის ზურგზე არ ყოფილა, ქვეყანას არ ახსოვს წმინდაწყლის სოციალისტური, ბოლშევიკური პარლამენტი.

ჩვენ ზოგი განაგონობით და ზოგიც პირადად ვიცნობდით მხოლოდ კაპიტალისტური ქვეყნების პარლამენტებს და ძველი დროის სახელმწიფო სათათბიროს, სადაც დეპუტატები ცდილობდნენ გამოეჩინათ მთელი ძალა თავიანთი მჭევრმეტყველებისა, ბრწყინვალება გონებამახვილობისა და სიცხარე პოლემიკისა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ პარლამენტი ინგლისელებისათვის, დეპუტატთა პალატა ფრანგებისათვის და განსვენებული რეიხსტაგი გერმანელებისათვის იყო და არის ასპარეზი პირადი დაწინაურებისა, პირადი კარიერისა.

რასაკვირველია, არაფერი ამის მსგავსი ჩვენთან არ ყოფილა და არც შეიძლება მომხდარიყო.

და აქ ერთხელ კიდევ მთელის სიცხადით გამოჩნდა მთელი განსხვავება ჩვენსა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა დემოკრატიზმს შორის.

იქ უფრო, როგორც ვთქვი, პირადი სარგებლობისათვის არის გამოყენებული ფრჩხილებიანი დემოკრატიზმი; აქ ნამდვილი ხალხის ინტერესი და სოციალისტური მშენებლობაა მთავარი.

და თვითეული ჩვენგანი—ამჟამად დეპუტატებზე ვამბობ — განიცდის პასუხისმგებლობისა, სიამაყისა და სიხარულის გრძნობას. თვითეული ჩვენგანი უსაზღვროდ ბედნიერია. რომ იგი ღირსი შეიქმნა სოციალიზმის ქვეყნის მართვა-გამგეობაში უშუალო მონაწილეობა მიიღოს დიდ სტალინთან და მის მახლობელ და ერთგულ თანამებრძოლებთან ერთად.

და ამას ვგრძნობდით ყოველ წამს და თანდათან ჩვენი გული დიდის სიამაყით ივსებოდა, რომ ვეკუთვნით უდიდესს, სოციალისტურ სახელმწიფოს, რომ მისი სიმართლისათვის სამსახური არის ჩვენი უკეთილშობილესი და გამახარებელი მოვალეობა.

ასეთი განწყობილებით მიმდინარეობდა ჩვენი სხდომები, ის სხდომები, რომელთაც შეგვიძლიან სრულად მართებულად ვუწოდოთ სახელმწიფოებრივი სიბრძნის უმაღლესი სკოლა.

ასეთი არის ის დეპუტატთათვის, ასეთია საბჭოთა ყველა მოქალაქისათვის, ასეთია საბჭოთა ყველა ხალხისათვის.

მაგრამ აგერ კიდევ ერთი იშვიათი წუთი:

სხდომა შეწყვეტილია. ჩვენი ქვეყნის სამაყო შვილის ამხანაგ ლავრენტი **ბერიას** მეთაურობით ქართველი დეპუტატები შევდივართ ერთ დიდ დარბაზში. შენელებული სინათლე მოსდებია იქაურობას. მხოლოდ ერთ კუთხეში მზე-იუპიტერი ჩახჩახებს, ადამიანთა მცირე ჯგუფი გაუნათებია. ფოტოგრაფები აპარატებს აჩხაკუნებენ. ჯგუფი ჩვენსკენ ზურგითა დგას, სახე-პირს ვერა ვხედავთ, მაგრამ აგერ მობრუნდნენ და ჩვენსკენ წამოვიდა **მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი** და თვით **სტალინი.**

ბელადი დაწინაურდა და ღიმბილის ღიმილით ხელს გვართმევს საქართველოდან წარგზავნილებს.

აი აგერ მეც მომიახლოვდა, ღიმილით შეხედა ჩემს ჩოხა-ახალუხს და ხელი გამომიწოდა.

რატომღაც ხელის ჩამორთმევა ცოტა გაგრძელდა.

კარგა ხანს მეჭირა ხელი ამ გოლიათი მოაზროვნისა, ის ხელი, რომელმაც შექმნა ჯერ არნახული, სწორუპოვარი წესი და რიგი ახალის, სოციალისტური სახელმწიფოსი, უკვდავი თხზულება სტალინური დიადი კონსტიტუციისა.

მეჭირა ხელი უბრძნესი ადამიანისა, ხელი დიდი ისტორიკოსისა, რომელმაც ყველას ხელთ მოგვცა უდიდესი ჩირაღდანი — „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსი". და ამ წუთას ვიგრძენი უდიდესი და განსაკუთრებული სიხარული...

შინ რომ ვბრუნდებოდი, ვფიქრობდი იმ წრეზე, საიდანაც მე ვარ გამოსული—მწერლებსა და ხელოვნებაზე.

აუცილებელია - მეთქი ვადასტურებდი გუნებაში, რომ ჩვენ ყველამ კიდევ მეტის ენერგიით, საკუთარი შემოქმედების მაქსიმუმის გამოვლინებით შევძლოთ აღვწეროთ, ავსახოთ, გავამუსიკოთ ჩვენი დიადი ეპოქის დიდებული საქმეები, ჩვენი მაღალხარისხოვანი მიღწევები, ჩვენი სიძლიერე, ჩვენი ქვეყნის სიმართლის მარადიულობა.

◆

პარტიული ცხოვრება

კომუნისტთა წინადადებებს არ ასრულებენ

სამტრედიის რაიონის სოფელ გომის ტერიტორიული პარტორგანიზაციის საანგარიშო - საარჩევნო კრებაზე, რომელიც 1938 წლის აპრილში ჩატარდა, კომუნისტებმა აღნიშნეს პარტორგანიზაციის მუშაობის სუსტი მხარეები და შემოიტანეს პრაქტიკული წინადადებანი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. საანგარიშო-საარჩევნო კრებამ კომუნისტების წინადადებათა საფუძველზე დასახა ღონისძიებანი და მიიღო საქმიანი დადგენილება.

სამწუხაროდ, ახლად არჩეულმა ორგანიზატორმა ამხ. ემ. გიორგაძემ საქმიანად ვერ მოჰკიდა ხელი პარტიული მუშაობის გაუმჯობესებას, კომუნისტთა წინადადებები უყურადღებოდ იქნა მიტოვებული. სტახანოველ კოლმეურნეებთან, მოწინავე მუშა-მოსამსახურეებთან ყოველდღიური და გულისხმიერი მუშაობით თანამგრძნობთა ჯგუფი ახალი ამხანაგებით უნდა შეევსოთ. მაგრამ ასე არ მოხდა. ზოგიერთი თანამგრძნობი საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებში გადავიდა, ახლად არავინ არ მიუღიათ; ამრიგად, ამჟამად პარტორგანიზაციასთან თანამგრძნობთა ჯგუფი არ არსებობს.

პარტიულმა ორგანიზაციამ მიმდინარე წელს მხოლოდ 3 კაცი მიიღო პარტიის წევრობის კანდიდატებად. ეს მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ სუსტია კომკავშირის ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობა. მოწინავე კომკავშირელებს, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება პარტიის წინაშე, არ ეხმარებიან გააფორმონ საბუთები პარტიაში მიღებისათვის.

საანგარიშო - საარჩევნო კრების დადგენილებაში ჩაწერილია, რომ „აზრიანად მოწესრიგდეს პარტიული დავალებების მიცემა პარტიის თვითეულ წევრისა და პარტიის წევრობის კანდიდატისათვის". დადგენილების ეს მუხლიც არ სრულდება. არცერთ კომუნისტს მიცემული არა აქვს პარტიული დავალება.

ცუდად არის დაყენებული პარტიული პროპაგანდის საქმეც. პარტორგანიზაციის ღია კრებაზე განიხილეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის დადგენილება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ". კრებამ ერთსულოვნად მოიწონა ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, მაგრამ მიღებულ „ღონისძიებებში" არაფერი არ არის ნათქვამი პროპაგანდისტული მუშაობის გაჯანსაღებაზე.

სამტრედიის პარტრაიკომი სუსტად ხელმძღვანელობს აღნიშნულ პარტორგანიზაციას, ამ ზონის ინსტრუქტორი ამხ. გრ. კობახიძე ორი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ იყო გომის პარტორგანიზაციაში, მისცა პარტორგანიზატორს რაღაც მითითება და ამით დაკმაყოფილდა.

გომის პარტიული ორგანიზაცია სუსტად მუშაობს, აქ კომუნისტთა წინადადებებს ყურადღებას არ აქცევენ, პარტიულ კრებებზე მიღებული დადგენილებები ქაღალდზე რჩება. სამტრედიის პარტრაიკომმა სერიოზული დახმარება უნდა გაუწიოს, გომის პარტორგანიზაციას მუშაობის გარდაქმნისათვის.

მ. თევზაძე

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის პარტკაბინეტში ამხ. ვ. ქ. ლომაია ატარებს ჯგუფურ კონსულტაციას საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის საკითხებზე. საქდესის ფოტოქრონიკა

ფეროს ინტელიგენცია ეუფლება ბოლშევიზმს

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ინტელიგენციის საკმაოდ მოზრდილი ბირთვია. აქ არის 105 ინჟინერი და ტექნიკოსი. საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის გამოსვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია ქარხნის ინტელიგენტებს შორის. მათ გამოსთქვეს სურვილი საფუძვლიანად შეისწავლონ ბოლშევიზმის ისტორია.

როგორ დავაკმაყოფილოთ ეს მისწრაფება ინტელიგენციისა, როგორ დავეხმაროთ ამხანაგებს ღრმად შეისწავლონ საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, —აი საკითხები, რომლებიც წამოიჭრა ფეროშენადნობთა ქარხნის პარტკომის წინაშე.

პარტიის ისტორიის შესწავლისათვის დამოუკიდებელი მუშაობა ჯერ ჯერობით ცოტამ დაიწყო. საჭირო იყო ამხანაგებისათვის გაგვეღვივებინა იმის რწმენა, რომ მათ აქვთ უნარი დაეუფლონ ბოლშევიზმს, გაგვეფანტა ცრურწმენა, თითქოს თეორიის დამოუკიდებელი შესწავლა შეუძლებელი ან მეტად ძნელი იყოს. აქეთკენ წარმართა ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა თავისი მუშაობა.

პარტიის რაიკომთან შეთანხმებით ქარხნის პარტკომმა მოაწყო პოპულარული ლექცია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის პირველი თავის მიხედვით. 150-ზე მეტი კაცი დაესწრო ამ ლექციას; მან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ამხანაგებზე, ბიძგი მისცა, რომ მრავალი ამხანაგი შესდგომოდა დამოუკიდებელ მუშაობას საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შესწავლისათვის.

ინჟინრები: ს. ტიხონოვი, ი. კეკელიძე, ლ. მელაძე, ნ. კაცაძე, ა. მესხი, ა. ბუაძე, გრ. ვეფხვაძე, ვლ. თუთარაშვილი, დობორჯგინიძე და სხვები უკვე დამოუკიდებლად მუშაობენ წიგნზე; ისინი სტალინურ სახელმძღვანელოს—„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლასთან ერთად ფართოდ სარგებლობენ დამხმარე ლიტერატურით.

ჯგუფურად მუშაობენ ინჟინრები გ. ნორაკიძე და ალ. საყვარელიძე; საამქროს უფროსები შ. გიორგაძე და ივ. კოვინიც ერთად აწარმოებენ დამოუკიდებელ მუშაობას.

მრავალ ამხანაგს აინტერესებდა მოესმინა ლექცია საერთაშორისო მდგომარეობაზე. თბილისიდან მოწვეული ლექტორის (დოც. ა. კაჭახიძე) საშუალებით 19 და 20 დეკემბერს ჩავატარეთ ლექცია თემაზე „ჩეხოსლოვაკია და საერთაშორისო მდგომარეობა" — როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე. ლექციას 250-მდე კაცი დაესწრო; ამხანაგები მოსმენილი ლექციით კმაყოფილი დარჩნენ.

ქარხნის პარტკაბინეტი ბიბლიოთეკად გადავაკეთეთ. ყოფილ პარტკაბინეტში 15000 ცალი წიგნი აღმოჩნდა. გარდა ამისა, აქ არსებულ სამკითხველოს კიდევ 3.000 წიგნი აქვს, მაგრამ შემოწმებამ გვიჩვენა, რომ არ გვაქვს კ. მარქსის ყველა ტომები. არასაკმაოდაა შეძენილი ლენინ-სტალინის შრომები და სხვ. პარტიული კომიტეტი მიიღებს ზომებს ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

სისტემატურად ვატარებთ კონსულტაციებს. დღემდე კონსულტაციით ისარგებლა 30-ზე მეტმა კაცმა. ამ კონსულტაციის შედეგად ამხანაგები გაერკვენ მთელ რიგ საკითხებში, როგორც მაგალითად: რა განსხვავებაა 70-იანი და 90-იანი წლების ნაროდნიკებს შორის, ყირიმის ომის საკითხში, დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხებში და სხვ. წინათ პოლიტსკოლაში ნაკლები ინტერესით მუშაობდა სადნობი საამქროს საკაზმე ეზოს მუშა ო. თაბუკაშვილი; ახლა იგი დიდი ინტერესით მეცადინეობს დამოუკიდებლად, ხშირად ესაუბრება კონსულტანტებს, სარგებლობს მათი დახმარებით. ამ დღეებში მან ბიბლიოთეკიდან წასაკითხავად წაიღო ამხ. ლ. ბერიას წიგნი „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის". ენერგიულად მეცადინეობს. ამხ. პ. ფეოდოროვიც. ჩვენ მომავალშიაც მონდომებით დავეხმარებით ჩვენი ქარხნის ინტელიგენტებს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შესწავლის საქმეში.

მ. რაზმაძე

ფეროშენადნობთა ქარხნის პარტკომის მდივანი.

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა 115 მილიონი ეგზემპლარი

ვ. ი. ლენინის თხზულებები განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული საბჭოთა კავშირში. საკავშირო წიგნის პალატის ცნობათა მიხედვით, სსრ კავშირში ვლადიმერ ილიას-ძის გარდაცვალების დღიდან 15 წლის განმავლობაში გამოცემულია ლენინის 3.171 წიგნი 108,8 მილიონ ცალად. 1937-1938 წლებში გამოცემული ლენინის ნაწარმოებთა (3.645 წიგნი) საერთო ტირაჟი კი 115 მილიონ ცალს აღემატება.

ლენინის შრომები გამოცემულია სსრ კავშირში 72 ენაზე, მათ შორის აფხაზურ, ადიღეურ, ბაშკირულ, ებრაულ, ყაბარდოულ, კარელიურ, ლეკურ, ხაკასურ, ჩუვაშურ და იაკუტურ ენებზე.

ვ. ი. ლენინის საკმაოდ ბევრი წიგნია გამოცემული სსრ კავშირის იმ ხალხთა ენებზე, რომელთაც ოქტომბრის რევოლუციამდე არც ჰქონიათ თავისი დამწერლობა. ასეთ ხალხს ეკუთვნიან ქურთები, ტატები და სხვ.

ვლადიმერ ილიას-ძის ნაწარმოებები გამოცემულია მრავალ უცხო ენაზე.

ვ. ი. ლენინის სიცოცხლეში მის თხზულებათა კრებული პარტიის IX ყრილობის დადგენილებით გამოცემულ იქნა 20 ტომად. ვლადიმერ ილიას-ძის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა მის თხზულებათა მეორე და მესამე გამოცემა 30 ტომად. გარდა ამისა, გამოსულ 32 კრებულში (მათი საერთო ტირაჟი—5.897,5 ათასი ცალი) თავმოყრილია ვ. ი. ლენინის დიდძალი ხელნაწერები, წერილები, შენიშვნები და საკონსპექტო მონახაზები.

განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული ვ. ი. ლენინის წიგნები: „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია", რომელიც გამოვიდა 22 ენაზე 2.218 ათას ცალად; „სახელმწიფო და რევოლუცია", გამოცემული 17 ენაზე თითქმის 2 მილიონ ცალად; „რა ვაკეთოთ?", დაბეჭდილი 16 ენაზე 1.084,5 ათას ცალად. (საქდესი).

შალვა დადიანი

მიმდინარე წლის 31 იანვარს საბჭოთა საზოგადოებრიობა აღნიშნავს სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის შალვა ნიკოლოზის-ძე დადიანის სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლის სახელოვან იუბილეს.

○

შალვას მამა, ნიკო ტარიელის-ძე დადიანი თავის დროზე საკმაოდ სახელმოხვეჭილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე იყო. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ნიკო სამშობლოშივე დარჩა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ჩაება.

იგი მოწინავე პროგრესიული ინტელიგენციის წრეში ტრიალებდა და იყო პირადი მეგობარი ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისა — (აკაკის, ილიასი, გიორგი წერეთლის, ვანო მაჩაბლისა და სხვების). ნიკო იყო ლინგვისტი და მედიცინის დიდი მცოდნე. ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა. ბესარიონ ლომოურიძის შემდეგ იგი აირჩიეს ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ. ამ სარბიელზე მოღვაწეობის დროს ნიკომ აღძრა ბანკის მეანაბრე ებრაელთათვის ხმის მიცემის საკითხი, მაგრამ თავადაზნაურთა საერთო კრებამ ნიკოს „სამის" წინადადებას მხარი არ დაუჭირა და ზედმიწევნით პრინციპული ნიკო თანამდებობიდან გადადგა. სხვათაშორის ნიკო დადიანს ეკუთვნის ქიათურის რკინიგზის გაყვანის იდეა.

შალვას დედა, ლიდა ანტონ წულუკიძის-ასული სათნო და შინაურად განათლებული ადამიანი იყო.

შალვა დაიბადა დაბა ზესტაფონში 1874 წლის 8 მაისს (ძვ. სტილით). ოთხ და-ძმაში მხოლოდ ორნიღა დარჩნენ. არცერთი მათგანი, და, მათ შორის, შალვაც მამამ განზრახ არ შეიყვანა სასწავლებელში, რადგან — თანამედროვე რუსიფიკატორული სკოლა კი არ ზრდის, არამედ აჩლუნგებს ადამიანს, ჰკლავს მასში დამოუკიდებელ პიროვნებას და მონა-მორჩილი ჩინოვნიკი გამოჰყავსო. ამის გამო ცნობისმოყვარე და ნიჭიერ შალვას დამოუკიდებლად და შინაურების დახმარებით მოუხდა წერა-კითხვის სწავლა და გზის გაკვლევა. ოჯახი და მამის მდიდარი ბიბლიოთეკა გახდა მისი სასწავლებელი. სასწავლებელში შვილების მიუცემლობის გამო არა ერთი დაცინვა და საყვედური მოუსმენია ნიკოს თავის ნათესავებისგან.

უკვე საკმაოდ გათვითცნობიერებული 12 წლის შალვა, 1886 წელს ოჯახში სცემს ხელნაწერ ჟურნალს „მოზარდს", რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ამხ. მიხა ცხაკაია, დუტუ მეგრელი, შალვას და მართამი და სხვები. თითონვე ამ ჟურნალის რედაქტორი, ათავსებს შიგ ლექსებს, წერილებს და თავის ხელითვე სწერს მთელს ნომრებს.

ამავე ხანებში შალვა ოჯახშივე ჰმართავს შინაურ წარმოდგენებს, ხოლო როდესაც (ოთხმოციდაათიან წლებში) საქართველოს მსოფლიოდ სახელგანთქმული მსახიობი ერნესტო როსი ეწვია და შალვა მის სპექტაკლებს დაესწრო, მას სასცენო მოღვაწეობისადმი უსაზღვრო ლტოლვა აღეძრა.

1893 წელს, 2 თებერვალს, შალვა დადიანი პირველად გამოვიდა ქუთაისის სცენაზე გრაფ დე ჟირეის როლში, პიესა „მარგარიტა გოტიეში", რომელიც კოტე მესხის რეჟისორობით დაიდგა მსახიობ ეფემია მესხის საბენეფისოდ. გამოსვლა წარმატებით ჩატარდა. პრესა გულმხურვალედ შეხვდა ახალ მსახიობს. ამ გამოსვლამ გადასწყვიტა შალვას შემდგომი სასცენო მოღვაწეობა. ნიკო დიდი კმაყოფილებით შეხვდა შვილის ნაბიჯს ხელოვნების სარბიელზე.

1907 წელს ქუთაისის თეატრის სცენაზე შალვა დადიანმა პირველად დადგა ახალგაზრდა ავტორის შ. ნათაძის ორიგინალური პიესა „ლევან ეგანაძე". შემდეგ მთელი რიგი სხვა და თავისივე პიესები („მეეიმეში", „ვარამი", „ვეშინდელნი", „შენი ჭირიმე" და სხვა). თავისი რეჟისორული მოღვაწეობის მანძილზე მის მიერ 105 პიესაა დადგმული.

როგორც მსახიობი, შალვა 1923 წლამდე დარჩა სცენაზე. ამ ხნის განმავლობაში მან ორასამდე როლი შეასრულა; მათ შორის — „მეფე ლირში" — ლირის როლი, „ღალატში" — ოთარ ბეგისა, „სამშობლოში" — სვიმონ ლეონიძისა, „ვინ არის დამნაშავეში" — სიკოსი, „ჟან და მადლენაში" — ჟანისა და სხვა.

კლასიკურ პიესებში მთელი რიგი წამყვანი როლების მშვენიერი შესრულებით მან იმთავითვე მოიხვეჭა დიდი ტემპერამენტით აღჭურვილი მსახიობის სახელი.

მაგრამ მშობლიური კულტურისა და სცენის ნამდვილი გულშემატკივარი და მომავლე მარტო რეჟისორული და აქტიორული მოღვაწეობით როდი კმაყოფილდება. ორიგინალური, ქართული რეპერტუარის უქონლობამ თავის დროზე სამართალი დაასვა ჩვენს თეატრს. ამ გარემოებას ყველაზე მწვავედ განიცდიდა შალვა დადიანი, როგორც მსახიობი, რეჟისორი და საზოგადო მოღვაწე. ამ პირობებში დაიწყო მან პიესების წერა, რომლებიც ყოველთვის დიდი წარმატებით სარგებლობდნენ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მან მთელი რიგი მშვენიერი პიესებით გაამდიდრა ქართული სცენა. საყოველთაოდ ცნობილია მისი უკანასკნელი პერიოდის პიესები „ნინოშვილის გურია", „ჩატეხილი ხიდი" და სხვა. განსაკუთრებით კი — პიესა „ნაპერწკლიდან", რომელიც ხგებულია ამხანაგ ლ. პ. ბერიას ცნობილ შრომაზე „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" და გაშლილია ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის 1902 წელს ბათუმში მოღვაწეობის პერიოდის ფონზე, როდესაც მან პირველად ჩამოაყალიბა იქ ლენინურ-ისკრული მიმართულების სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციები.

შალვა დადიანის კალამს ორმოცამდე პიესა ეკუთვნის.

1911 წელს ბათუმში შალვა დადიანმა ჩამოაყალიბა „მოგზაური დასი", რომლითაც მან მთელი საქართველო მოიარა და ნოვოროსიისკის ნავსადგურის ქართველ მუშათა მიწვევით მათთანაც გაემგზავრა; იგი მრავალჯერ ეწვია აგრეთვე ბაქოსა და სხვა ცენტრების მუშებს.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შ. დადიანმა ჩამოაყალიბა საქართველოში „მსახიობთა კავშირი" და „რაბისის" დაარსებამდე (საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ) მისი თავმჯდომარე იყო. ამავე წელს მანვე შეადგინა მწერალთა კავშირის პირველი წესდება და არჩეულ იქნა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან შალვა დადიანი [illegible] და განათლების სახალხო კომისარიატის თეატრალური განყოფილების გამგედ. ამ სარბიელზე მოღვაწეობასთან დაკავშირებით, იგი მივლინებულ იქნა მოსკოვს, სადაც 1924 წელს დაარსა ქართული კულტურის სახლი, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული კულტურის პოპულარიზაციას. ამავე დროს იგი ხელმძღვანელობდა მოსკოვში ვახტანგ მჭედლიშვილის სტუდიას, საიდანაც არა ერთი მაღალი კვალიფიკაციური რეჟისორი გამოვიდა და მუშაობს საქართველოში (ამხ. ჟურული, ალსაბაძე, გოძიაშვილი, სულიაშვილი და სხვები).

1923 წელს საქართველოს მთელმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა შალვა დადიანის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე. იუბილე გაიმართა აგრეთვე მოსკოვშიც. მას საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა.

მაგრამ შალვა დადიანი ცნობილია არა მარტო როგორც მსახიობი, რეჟისორი და დრამატურგი, არამედ იგი არის ნოველების („სამსონის თმები", „ტყვე", „ჯადო". და სხვ.), მხატვრული მინიატურების (დაწერილი აქვს 80 მინიატურა-ლექსი პროზად) მთელი რიგი მოთხრობებისა და ისტორიული რომანების ავტორი („უბედური რუსი", „ურდუმი"). ყველა მის ნაწარმოებს ახასიათებს მხატვრული, ზედმიწევნით მუსიკალური ენა, ტიპების გამოყვანა, დინამიურობა და სიუჟეტის მხატვრულად გაშლა.

მეორე ისტორიული რომანი „ურდუმი", რომლის პირველი ნაწილი ახლო ხანში გამოვა, ხოლო მეორე ნაწილზე ამჟამად გულმოდგინედ მუშაობს ავტორი — ასახავს სამეგრელოში 1857 წლის გლეხთა მაკობრივ აჯანყებას, რომელსაც ცნობილი უტუ მიქავა ხელმძღვანელობდა.

ბოლო დროს შალვა დადიანმა გადაამუშავა და განაახლა კოტე მესხის პიესა „რუსთაველი", რომელიც უკვე დაიდგა ქიათურის თეატრში, გარდა ამისა, იგი გაეცნო ცნობილი „მოლა მასრადინის" მრავალ ვარიანტს სხვადასხვა ენებზე, რის შედეგად დასწერა ამავე სახელწოდების კომედია, რომელშიც გამახვილია „მოლა მასრადინის" სოციალური არსი და ამ პრიზმაში გადასტეხა ნაწარმოები. ამჟამად მიმდინარეობს კომედიის მუსიკალური გაფორმება, რის შემდეგ მას დასდგამს მოსკოვის ოპერეტის თეატრი. მწერალს განზრახული აქვს ახალი პიესისა და რომანის შექმნა საბჭოთა პატრიოტიზმის თემაზე.

სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს შალვა დადიანი არჩეულ იქნა სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად თბილისის 511 საარჩევნო ოლქიდან, რამაც ახალი ენერგია და შემოქმედებითი ენტუზიაზმი გამოიწვია მწერალში. მას მჭიდრო კავშირი აქვს თავის ამომრჩევლებთან და ამ მხრივაც მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა.

ასეთია, მოკლედ, ამ სახელოვანი ადამიანის მიერ განვლილი ნახევარი საუკუნე ხელოვნებაში.

მშრომელი ხალხი, საბჭოთა საზოგადოებრიობა ყოველთვის დიდ მზრუნველობას იჩენს ასეთ თავდადებულ და უანგარო მოღვაწეების მიმართ. (საქდესი).

შალვა კაშმაძე.

ბ. აბულაძე, დ. ჯანელიძე

აქტიორული შემოქმედება მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

ოქტომბრის რევოლუციის ცხოველმყოფელმა სხივებმა ქართულ სცენაზე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ შემოანათა. საბჭოთა ხელისუფლებას თეატრი გაპარტახებული დახვდა. ის მოკლებული იყო არსებობის ელემენტარულ პირობებს: შენობას, მუდმივ დასს, მტკიცე რეჟისორულ ხელმძღვანელობას, აქტიორული შემოქმედების შთამაგონებელ დრამატურგიას. ქართველი აქტიორი ისევ ათვალწუნებული, ცხოვრების სახსარმოკლებული, სასოწარკვეთილებამდე მისული რჩებოდა. თვით ვასო აბაშიძეს,—ქართული სცენის მშვენებას და დიდებას—გროშებს უგროვებდნენ, რომ შიმშილით სიკვდილისაგან ეხსნათ. ქართული სცენის სიამაყე ლადო მესხიშვილი, უპატრონოდ, შიმშილსა და გაჭირვებაში დაიღუპა. ლუკმა-პურის ძებნაში დაიღუპა მაღალნიჭიერი ქართველი აქტიორი გიორგი იმხნელი. ეს ის დრო იყო, როცა განათლების მინისტრის მოადგილე, ვინმე ცინცაძე ცინიკურად აცხადებდა,—ბალეტის ერთი მოცეკვავე მირჩევნია მთელ ქართულ თეატრსო.

თეატრმა მაყურებელი დაჰკარგა და აქტიორული შემოქმედება დაკნინდა, რადგან ამ აუტანელ პირობებში არავითარ ძიებაზე, საინტერესო სცენიურ მუშაობაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა, ოცნებაც კი უიმედობით იყო მოწამლული.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც მრავალ ბრძოლებში გამობრძმედილი ლენინ-სტალინის გმირული პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს მუშებმა და გლეხებმა წითელი არმიის ძმური დახმარებით დაამხეს მჩაგვრელი კლასების ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება, მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ქართული კულტურის აღორძინებას. თეატრი, როგორც კლასობრივი ბრძოლისა და მასებზე ზეგავლენის მახვილი იარაღი, არ შეიძლებოდა დაუქმებული ყოფილიყო, არ შეიძლებოდა მასებისაგან მოწყვეტით მისი დატოვება. ახალ პირობებში ახალი თეატრის შექმნის პრობლემა დგებოდა. თეატრს დიდი კულტურული მისია ეკისრებოდა.

პარტიამ და ხელისუფლებამ შექმნეს ქართული სცენის ხანგრძლივი არსებობის მანძილზე არნახული პირობები ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებისა და წინსვლისათვის. თეატრისადმი დიდი ყურადღებისა და მზრუნველობის ატმოსფერომ მშობლიურ თეატრს დაუბრუნა ყველა ისინი, ვინც ნაციონალური სცენის დევნისა და შევიწროების პირობებში იძულებული იყო გულისტკივილით მოშორებოდა თავისი საყვარელი ქვეყნის ხელოვნების შეზღუდულ და შევიწროებულ სარბიელს. განახლებულ ქართულ თეატრს დაუბრუნდა დიდი რუსი ხალხის თეატრში აღზრდილი, სახელგანთქმული ოსტატი კოტე მარჯანიშვილი.

თეატრალური ხელოვნების მუშაკთა უმრავლესობამ, განსაკუთრებით ახალგაზრდა აქტიორულმა ძალებმა, აღფრთოვანებულებმა პარტიისა და ხელისუფლების ყურადღებითა და მზრუნველობით თეატრისადმი, სრულიად გარდაჰქმნეს თეატრი და სასცენო შემოქმედებაში, კოტე მარჯანიშვილის მხატვრული ხელმძღვანელობით, დაწესდა მაღალი მხატვრული კულტურა.

და დაიწყო ახალი, ბრწყინვალე ხანა ქართული თეატრის ისტორიაში, როდესაც რუსთაველის სახელობის თეატრში სპექტაკლები იქმნება არა ცალკეულ გასტროლიორ-მსახიობთა შემოქმედებით, არამედ ძლიერი აქტიორული ანსამბლის მომხიბვლელი თანხმოვანობით. ამ დროიდან თეატრში სასცენო შემოქმედების გაცხოველებით იზრდებიან აქტიორთა, რეჟისორთა, კომპოზიტორთა, მხატვართა და დრამატურგთა ძალები, რამაც უზრუნველჰყო ახალი თეატრების შექმნა და ჩამოყალიბება.

საბჭოთა თეატრალური კულტურის წიაღში აღმოცენებულ ახალ თეატრთა შორის ერთერთი პირველი ადგილი უჭირავს მარჯანიშვილის სახელობის თეატრს, რომელმაც სასცენო შემოქმედებითი მუშაობის უკვე 10 წლის მანძილი სახელოვნად განვლო.

მარჯანიშვილის თეატრი აქტიორული შემოქმედების, აქტიორული ანსამბლის თეატრია. შეცდომაა, თუ ვინმე ფიქრობდა, თითქოს მარჯანიშვილს რეჟისორის თეატრის შექმნა უნდოდა. პირიქით, მარჯანიშვილი ამბობდა: „თეატრი შესდგება შემოქმედების სამი უშუალო მონაწილისაგან — ესენი არიან ავტორი, აქტიორი და მაყურებელი. ერთერთი ამ ელემენტთაგანი თუ არ არის, თეატრი ვერ იარსებებს... რეჟისორი თეატრში სრულებითაც არ არის შემოქმედების მთავარი ელემენტი. ურეჟისოროდ თეატრი არ მოკვდება, თუმცა უმისოდ ამჟამად თეატრის მუშაობა არ ვარგა". თეატრის მთავარ ელემენტს აქტიორი შეადგენს, რამდენადაც მან დრამატიული ნაწარმოების აზრი და იდეა მაყურებლამდე უნდა მიიტანოს.

ჩამოყალიბდა და გაიზარდა ახალი ფორმაციის აქტიორი, რომლის შემოქმედების დედააზრს განსაზღვრავს მსოფლიო პროლეტარიატის მასწავლებლის ლენინის ცხოველმყოფელი ლოზუნგი: „ხელოვნება ეკუთვნის ხალხს".

ახალი ფორმაციის აქტიორის შემოქმედების მასაზრდოებელი წყარო პირველ რიგში მხატვრული შემოქმედების წიაღშია. ქართული დრამატურგიაც ხომ ამ გზით ვითარდება. საბჭოთა პიესები უმეტეს შემთხვევაში ხალხური შემოქმედების სცენიურ გამოყენებას გულისხმობენ.

ხალხური შემოქმედება თავისი ბუნებით უაღრესად სინთეტიკურია და ამიტომ, ახალი დრამატურგიული მასალის შესაბამისად, ახალი ფორმაციის აქტიორის ბუნებაც სინთეტიკური გახდა. მსახიობის შემოქმედება მრავალმხრივად იშლება, იგი აღარ იზღუდება მხოლოდ-მხოლოდ მხატვრული მეტყველების ოსტატობით. აქტიორი ვოკალურ-მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ ხელოვნებასაც ეუფლება და მომხიბვლელ პლასტიკურობასა და რიტმიულობას აღწევს.

აქტიორული ოსტატობის ხალხური შემოქმედების ფორმებით გამდიდრების საუკეთესო ნიმუშს და მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს მარჯანიშვილის თეატრის მსახიობების ნიკო ილურიძისა და ა. გომელაურის მიერ ხალხურ სანახაობათა საგანძურიდან მეფანდურის და მოშაირის სახეების აღდგენა და წარმოსახვა. სწორედ ხალხური შემოქმედების გამოყენებით მეტად ნიჭიერმა ახალგაზრდა აქტიორმა ნ. ილურიძემ შესძლო „ნინოშვილის გურიაში" შექმნა მეხუზლას დაუვიწყარი სახე და ოსტატურად ჩაეტარებინა ზღაპრის მთქმელის სცენა.

ჩვენი ხალხური შემოქმედება უაღრესად ოპტიმისტურია. ჩაგვრისა და მონობის აუტანელ პირობებშიაც კი ხალხური პოეზიის ფანდური იმედის მომგვრელ, გამამხნევებელ ჰანგებზე ჟღერდა. ხალხური შემოქმედება დღესასწაულებრივია. მარჯანიშვილის თეატრმა სცენიურ შემოქმედებაში შემოიტანა დღესასწაულებრივი განწყობა და სპექტაკლები შემოქმედების ზეიმად აქცია („ცხვრის წყარო", „მზის დაბნელება საქართველოში", „ურიელ აკოსტა", „როგორ", „ნინოშვილის გურია", „ნაპერწკლიდან", „კოლმეურნის ქორწინება"). ახალი ფორმაციის აქტიორის შემოქმედების ერთერთი დამახასიათებელი თვისება სწორედ ეს დღესასწაულებრივი ტონი და ელფერია. ეს თვისება არის, ახალი აქტიორული შემოქმედებით შექმნილ სახეებს მომხიბვლელ თეატრალობასა და ამაღლებულ პათოსს რომ უქმნის.

თ. ჭავჭავაძის ლაურენსია, ვ. ანჯაფარიძის ივდით, შ. ღამბაშიძის დე-სილვა, უშ. ჩხეიძის, პ. კობახიძის, ს. ზაქარიაძის ურიელ, მ. სარაულის, გ. კოსტავას დე-სანტოს, ვ. გოძიაშვილის ფიგარო, პ. კობახიძის, გ. შავგულიძის ფერდინანდ. განახლებული ქართული სცენის შესანიშნავი სახეებია. თვითეულ მათგანში იგრძნობა ყოფაცხოვრებითი ტონიდან ამაღლებული, დღესასწაულებრივი ელფერით მოსილი სიტყვის და ჟესტის მგზნებარე თეატრალობა.

აქტიორულ შემოქმედებაში ეს საზეიმო, დღესასწაულებრივი განწყობა სათავეს ნახულობს ოქტომბრის რევოლუციის ძლევამოსილებით აღფრთოვანებული ხალხის სიხარულში, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებით დამკვიდრებულ ბედნიერ და საამურ ცხოვრებაში.

ახალი აქტიორული სტილის შემუშავება, ჩამოყალიბება და დადგინება უმტკივნეულოდ არ ხდებოდა. მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე მსახიობის შემოქმედების ზრდას თან დაჰყვა სიძნელე, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ ზოგჯერ აქტიორი ზედმეტი ესთეტიზმით შექმნილ სახეს უკარგავდა სოციალურ აზრს და ზოგჯერ კიდევ გარეგნული სანახაობითი ფორმებით გატაცებული უკარგავდა გმირს მის შინაგან არსს („ბეატრიჩე ჩენჩი", „არსენა") ხოლო ზოგჯერ თეატრის რეპერტუარში ადგილი ეთმობოდა მდარე იდეურ - მხატვრული ღირებულების პიესას („განურჩევლად პიროვნებისა", „მოხუცი ენტუზიასტი"), რომლებიც აქტიორის შემოქმედების ზრდას აფერხებდა. სასცენო შემოქმედებაში ამ გზააცდენილობისგან თავის დაღწევით მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ეუფლება შემოქმედების რეალისტურ მეთოდს.

როგორც საერთოდ სსრ კავშირის ხალხთა სასცენო შემოქმედების შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის, ასევე მარჯანიშვილის თეატრის წინსვლისათვის გადამწყვეტი როლი ითამაშა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიული დადგენილების რეალიზაციამ. ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხ. ლ. ბერიას მითითებათა განხორციელებამ და მის მიერ დასახულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებამ უზრუნველჰყო ქართველი აქტიორის შემდგომი შემოქმედებითი ზრდა — სოციალისტური რეალიზმის მეთოდის დაუფლება.

აქტიორულ შემოქმედებაში რეალისტური სტილის დამკვიდრებას პრაქტიკულად ხელი შეუწყო ქართული რეალისტური აქტიორული სკოლის (მაკო საფაროვ-აბაშიძის, ნატო გაბუნიას, ვასო აბაშიძის, ლადო მესხიშვილის, კოტე მესხის) გამოცდილების ათვისებამ. მარჯანიშვილის თეატრში ეს გამოცდილება შემოიტანეს ვასო აბაშიძისა და ლადო მესხიშვილის აქტიორული სკოლის მსახიობებმა—ნიკო გოცირიძემ, ელისაბედ ჩერქეზიშვილმა, ა. იმედაშვილმა, ტ. აბაშიძემ, შ. გომელაურმა, ი. ზარდალიშვილმა.

მარჯანიშვილის თეატრის შემოქმედებაში რეალიზმის განმტკიცებას აგრეთვე ხელი შეუწყო ქართველი კლასიკოსების ი. ჭავჭავაძის, ე. ნინოშვილისა და დ. კლდიაშვილის ნაწერების გასცენიურებამ, კლასიკოსთა მიერ შექმნილ დიდ სახეებზე მუშაობამ.

ე. დონაური (ოთარაანთ-ქვრივი), ბ. გამრეკელი (მარეხ), ს. თაყაიშვილი (გვირისტინე), ე. სიბილა (თამრო), თ. ჩარკვიანი (კაკალა), მ. ლორთქიფანიძე (სიმონიკა, ჯერანა), მ. სარაული (დანიელ-ბეგ). შ. ჯაფარიძე (მანუჩარი), გ. კოსტავა (ლომკაცა), ვ. გვინჩიძე (ჰაჯი-მურატი)—აქტიორული შესრულების ბუნებრივობით, მხატვრული სისადავით, შინაგანი სიმართლით ახერხებენ ტიპიურ ხასიათების ტიპიურ გარემოცვასთან თანხმოვანებით განსახიერებას. ეს მსახიობები ახერხებენ შექმნან სახე, რომელიც არა მარტო ტიპიურია, არამედ გარკვეული ინდივიდუალობის მატარებელიც. განზოგადების ძალა და ზომიერების გრძნობა მათი აქტიორული შემოქმედების დამახასიათებელია.

მართებულად შენიშნა თავის დროზე კოტე მარჯანიშვილმა, რომ ქართული თეატრი უმთავრესად კომედიური ბუნებისაა. ეს ნათლად ჩანს ქართული ორიგინალური დრამატურგიის განვითარებიდანაც. წარსულში ჩვენს სცენაზე კომედია სხვა ჟანრებთან შედარებით უპირატესობით სარგებლობდა და ქართული აქტიორული სკოლის ამპლუაც ძველათ უმთავრესად მაინც კომიკური იყო. გიორგი ერისთავის თეატრი თავისი შესანიშნავი აქტიორებით (გ. დევნაძე, გ. ჯაფარიძე, მეიფარიანი, ტატიშვილი, კორძაია და აბრამიშვილი) კომედიური თეატრი იყო. ამ თეატრის რეპერტუარით და აქტიორული შესრულების ტრადიციებით აიდგა ფეხი ვასო აბაშიძის, მაკო საფაროვისა და ნატო გაბუნიას თეატრმა. კ. მარჯანიშვილი სრულიად მართებულად მოიქცა, როცა ქართული კომედიური სცენის ათეული წლებით შემუშავებული ტრადიცია გამოიყენა საბჭოთა აქტიორის შემოქმედებითი სახის ჩამოყალიბებისათვის („მზის დაბნელება საქართველოში").

მარჯანიშვილის თეატრის აქტიორულ შემოქმედებაში თუ წამყვანი არა, ყოველ შემთხვევაში, ერთერთი მთავარი ადგილი უჭირავს კომედიური ჟანრის ნიჭიერ მსახიობებს ც. წუწუნავას (მაჭანკალი—„ნინოშვილის გურია"), ა. ჟორჟოლიანს (არისტო), ვ. გოძიაშვილს (ლუარსაბ თათქარიძე), კ. კვანტალიანს (ხახული).

კ. მარჯანიშვილს ერთხელ შეეკითხნენ: — „შეუძლია თუ არა აქტიორს შეასრულოს ტრაგიული და კომიკური როლები?". მარჯანიშვილმა უპასუხა: „ეს დამოკიდებულია აქტიორის დიაპაზონზე..! ჩვენში უშ. ჩხეიძეს შესწევს უნარი მოგვცეს ორივე სახე". ერთი ათეული წლის შემოქმედებითი მუშაობის მანძილზე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობთა დიაპაზონიც გაიზარდა და გაიშალა. ახლა მთელი რიგი მსახიობები თანაბარი წარმატებით ანსახიერებენ ტრაგიულ და კომიკურ პერსონაჟებს.

ყოველივე ეს საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ მარჯანიშვილის თეატრი აქტიორული ძალებით მეტად მდიდარია და მრავალმხრივი შესაძლებლობის მქონე. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თეატრი ჯერ კიდევ ვერ ახერხებს აქტიორული ძალების სრულად გამოყენებას. წამყვანი აქტიორები წლობით არაფერს ჰქმნიან ახალს. თეატრის მხატვრულ პრაქტიკაში უნდა აღმოიფხვრას ეს შემოქმედებითი გაცდენა.

მარჯანიშვილის თეატრის აქტიორულ შემოქმედებაში სოციალისტურ რეალიზმთან ერთად მკვიდრდება რევოლუციური რომანტიზმის მეთოდიც. მთელ რიგ სპექტაკლებში აქტიორებმა შექმნეს ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის ამსახველი სცენიური ეპოსი.

ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ თეატრის აქტიორული შემოქმედების ზრდის გამომხატველი სპექტაკლი „ნაპერწკლიდან".

მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების ღრმად შესწავლით მსახიობი კიდევ უფრო შესძლებენ ჩვენი სინამდვილის ასახვას, დიდი ეპოქის ახალი ადამიანების განსახიერებას.

◆

დემონსტრაცია ლონდონში ფაშისტ აგრესორებთან შეთანხმების პოლიტიკის წინააღმდეგ

ლონდონი, 10 იანვარი (საკდესი). გუშინ ლონდონში ინგლისის მთავრობის შენობის წინ, რომში ჩემბერლენის გამგზავრების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, გაიმართა დემონსტრაცია. დემონსტრანტებს მიჰქონდათ უამრავი პლაკატი, ლოზუნგებით: „იარაღი—რესპუბლიკური ესპანეთისათვის!", „მეომარი მხარის არავითარი უფლებები ფრანკოს!".

დემონსტრანტებმა გამოჰყვეს დელეგაცია, რომელმაც მთავრობას გადასცა დემონსტრაციის ყველა მონაწილის მიერ მიღებული რეზოლუცია.

რეზოლუცია მთავრობისაგან მოითხოვს, რათა მან არ მიანიჭოს გენერალ ფრანკოს მეომარი მხარის უფლებები და ამასთან ერთად ნება დართოს ესპანეთის მთავრობას თავისუფლად შეისყიდოს ინგლისში იარაღი და სამხედრო საჭურველი.

შემდეგ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ „ჩემბერლენისა და მუსოლინის მომავალი მოლაპარაკება მშვიდობიანობის საქმეს ზიანის მეტს არაფერს მოუტანს. გაცილებით უფრო სასარგებლო იქნებოდა ჩვენს მინისტრს რომ დაეწყო მოლაპარაკება რუზველტთან, სსრ კავშირის მთავრობის წარმომადგენლებთან და ევროპის სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წარმომადგენლებთან საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ".

ჩემბერლენი და ჰალიფაქსი რომს გაემგზავრნენ

ლონდონი, 10 იანვარი (საკდესი). დღეს, დილის 11 საათზე, ინგლისის პრემიერი ჩემბერლენი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჰალიფაქსი რომს გაემგზავრნენ. როგორც ცნობილია, ინგლისის მინისტრები შეჩერდებიან პარიზში საფრანგეთის მინისტრებთან შესახვედრად.

იტალია-გერმანიის საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულება

ტოკიო, 10 იანვარი (საკდესი). იაპონიის გაზეთის „ასახის" სპეციალური კორესპონდენტი პარიზიდან ადასტურებს, რომ გერმანიასა და იტალიას შორის დადებულია საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულება.

როგორც ამ დღეებში გაზეთმა „დეილი ექსპრესმა" გვაუწყა, იტალია-გერმანიის სამხედრო ხელშეკრულება ხელმოწერილია 1937 წლის გაზაფხულზე.

ამ ხელშეკრულების თანახმად, ორივე მხარე მოეთათბირება ერთმანეთს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე, არ დასდებს არავითარ ისეთ კავშირს, რომელიც მიმართული იქნება მეორე მხარის წინააღმდეგ, აგრეთვე სამხედრო დახმარებას გაუწევს ერთმანეთს იმ შემთხვევაში, თუ ერთი რომელიმე მხარე ომის მდგომარეობაში აღმოჩნდება.

დემოკრატიული და ოპოზიციური პრესის აკრძალვა უნგრეთში

პრაღა, 9 იანვარი (საკდესი). უნგრეთის მთავრობა განაგრძობს პერიოდული პრესის „წმენდას". გასული წლის ზაფხულში გამოცემული დეკრეტის თანახმად, ყველა იმ გაზეთისა და ჟურნალების რედაქციებმა, რომლებიც უნგრეთის ტერიტორიაზე გამოდიან, უნდა აღძრან შუამდგომლობა ახალ წელს მათი გამოცემის გაგრძელების შესახებ. გაზეთებისა და ჟურნალების სხვადასხვა რედაქციებისაგან შეტანილი იყო სულ 1.200 განცხადება. „პრესის გამწმენდმა" სპეციალურმა კომისიამ, რომელიც პრემიერ მინისტრმა იმრედიმ დანიშნა, უარჰყო 600 გაზეთისა და ჟურნალის განცხადებანი. ამგვარად, უნგრეთის ყველა პერიოდული გამოცემის 50 პროცენტი, ესე-იგი მთელი დემოკრატიული და ოპოზიციური პრესა ამა წლის იანვრიდან სწყვეტს გამოსვლას.

პოლონეთის ნოტა ჩეხოსლოვაკიის მთავრობისადმი

ვარშავა, 10 იანვარი (საკდესი). პოლონეთის საქმეთა რწმუნებულმა პრაღაში სასტიკი პროტესტი განუცხადა ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სევლიუშში პოლონეთის საკონსულოზე კარპატის უკრაინის ფაშისტების თავდასხმასთან დაკავშირებით. რწმუნებულმა სრული დაკმაყოფილება მოსთხოვა ჩეხოსლოვაკიისა და კარპატის უკრაინის მთავრობებს და გააფრთხილა ისინი, რომ პოლონეთს ნახევარზომები ვერ დააკმაყოფილებენ.

გერმანიის პრესა შეშფოთებულია

პარიზი, 10 იანვარი (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, იუგოსლავიის პრინცი-რეგენტი პავლე რუმინეთის მეფის მიწვევით რუმინეთს გაემგზავრა.

O

ბერლინი, 10 იანვარი (საკდესი). გერმანიის პრესა აშკარა შეშფოთებით ადევნებს თვალყურს იუგოსლავიის პრინცი-რეგენტის პავლეს მოულოდნელ გამგზავრებას რუმინეთში. პავლესა და რუმინეთის მეფის ერთმანეთთან შეხვედრის გამო გერმანიის ფაშისტურ პრესას ეჭვი ებადება, რომ მისი პარტნიორი „რომი-ბერლინის ღერძის" ხაზით იტალია ფარულად მოქმედებს — ცდილობს თვით იკისროს ინიციატივა იუგოსლავიასა, რუმინეთსა და უნგრეთს შორის მეგობრული განწყობილების შექმნის საქმეში. ესენის „ნაციონალ ცაიტუნგი" სწერს, რომ იუგოსლავიის პრინცი-რეგენტის გამგზავრებას ბუქარესტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩიანოს სამხრეთ - სლავიაში მომავალ გამგზავრებასთან დაკავშირებით. ჩიანოს გამგზავრებას, გაზეთის სიტყვით, მიზნად ექნება განიხილოს ურთიერთობის საკითხი დუნაის აუზის სახელმწიფოებსა და ბალკანეთის სახელმწიფოებს შორის, რომელთა ეკონომიურ ცხოვრებაშიც იტალიას განზრახული აქვს უფრო თვალსაჩინო როლი ითამაშოს.

მიტინგი სან-ფრანცისკოში ტომ მუნის პატივსაცემად

ნიუ-იორკი, 10 იანვარი (საკდესი). როგორც გაზეთი „დეილი უორკერი" იუწყება, სან-ფრანცისკოში ტომ მუნის პატივსაცემად მოწყობილ მიტინგს დაესწრო 150 ათასი კაცი. მიტინგზე გამოვიდა ტომ მუნი. თავის სიტყვაში, რომელიც საათნახევარს გრძელდებოდა, ტომ მუნი მოუწოდებდა ყველას დემოკრატიის დაცვისა და მუშათა კლასის გაერთიანებისაკენ ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მარჯანიშვილის სახ. თეატრის 10 წლისთავისათვის

შევქმნათ სტალინის ეპოქის გმირი-ქალის სცენიური სახე

სათეატრო ხელოვნება პარტიისა და მთავრობის უდიდესი მზრუნველობით და ყურადღებით არის გარემოცული. ეს კი ჩვენ — თეატრის შემოქმედ მუშაკებს დიდ ამოცანებს გვაკისრებს.

ათი წლის განმავლობაში თეატრმა გამოავლინა თავისი მხატვრული სახე.

ახლა ის ძირითადად ეუფლება სოციალისტურ რეალიზმის მეთოდს. ჩვენმა თეატრმა შექმნა გმირული პათოსის სპექტაკლი, რომელშიაც ასახულია პროლეტარიატის ბელადების **ლენინის** და **სტალინის** მოღვაწეობა მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე.

ეჭვი არაა, რომ მარჯანიშვილის თეატრი კიდევ უფრო გაშლის თავის შემოქმედებით მუშაობას სტალინური ეპოქის ღირსეული სპექტაკლების შესაქმნელად. უმთავრესად აქეთ იქნება მიმართული ჩემი შემოქმედებაც, როგორც მსახიობისა, რომელიც ამ თეატრში მისი დაარსების დღიდან მუშაობს.

მარჯანიშვილის თეატრს თავისი საყვარელი ხელმძღვანელისაგან ანდერძად აქვს დატოვებული მტკიცე კონტაქტი მწერლობასთან, მჭიდრო კავშირი მაყურებელთან, რომელსაც მსახიობმა უნაკლოდ უნდა მიუტანოს დრამატიული ნაწარმოების იდეა. თეატრმა უკანასკნელ წლებში შესძლო ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ნაწარმოებთა გასცენიურება. ამაზე, რასაკვირველია, არ შეჩერდება თეატრი კლასიკოსების ათვისების საქმეში.

ჩვენ,—კ. მარჯანიშვილის მხატვრული შემოქმედების მემკვიდრენი, — ვალდებულნი ვართ შევამოწმოთ ჩვენი მუშაობა ამ 10 წლის განმავლობაში, კრიტიკულად გადავხედოთ განვლილ გზას — შევინარჩუნოთ და გავაღრმავოთ ჩვენი თეატრის ჯანსაღი მხარეები და ამავე დროს სამუდამოდ დავაღწიოთ თავი წარსულ შეცდომებს. კ. მარჯანიშვილის სახელი, რომელსაც ჩვენ ვატარებთ, გვავალებს კიდევ მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ჩვენს თავს, მეტი ინიციატივა და ინტენსივობა გამოვიჩინოთ ჩვენი სოციალისტური ქვეყნის წარმატებათა ასახვაში.

ჩვენ ბოლომდე უნდა ავითვისოთ ის მდიდარი მემკვიდრეობა, რომელიც დიდმა მასწავლებელმა დაგვიტოვა. თეატრის კოლექტივმა უნდა იმუშაოს ერთსულოვნად, რომ შექმნას რეჟისორების, მსახიობების, სცენის მუშაკების ახალი კადრები. მან უნდა განამტკიცოს შემდგომი კავშირი დრამატურგიულ მწერლობასთან. პირადად დრამატურგებისაგან მე მოველი პიესას, რომელშიაც ასახული იქნება ჩვენი დიადი ეპოქის ბედნიერი, გმირი-ქალის ცხოვრება, სიმამაცე, სამშობლოსათვის თავდადება და ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულება. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობ-ქალებს სასაყვედურო გვაქვს დრამატურგებთან. მათს პიესებში ქალებისათვის უმეტეს შემთხვევაში როლები ცოტაა და, რაც არის, ისიც არ იძლევა გასაქანს აქტიორული შემოქმედებისათვის.

მჯერა, ჩვენი კოლექტივი ნაყოფიერი მუშაობით შექმნის ახალ მხატვრულ ღირებულებებს, რომლებიც ღირსნი იქნებიან სტალინური ეპოქისა.

თამარ ჭავჭავაძე

რესპ. დამსახურებული არტისტი, ორდენოსანი.

ხალხის სიყვარულით გამხნევებული

ათი წელი! შემოქმედებითი სიხარულით აღსავსე ათი წელი!—რამდენი რამ არის სათქმელი და მოსაგონებელი! მზიური სხივებით მოსილი მანძილი გავიარეთ, შემოქმედებითს გზაზე დამარცხებაც განგვიცდია, მაგრამ უფრო მეტად გამარჯვებით ვყოფილვართ გახარებულნი, მაყურებელთა შეუნელებელი ტაში მრავალჯერ ხსნიდა ფარდას, ხალხის სიყვარული სიმხნევეს გვმატებდა, წარმატებანი გვახარებდა, და კიდევ მეტი გატაცებით განვაგრძობდით მუშაობას.

ათი წელი!

მსახიობისათვის ეს დიდი მანძილია. თრთოლვით ვიგონებ განვლილ გზას. რა იქნებოდა მის გარეშე ჩემი ცხოვრება? რამდენი სიყვარულია მისდამი, ვისმა სიბრძნემაც ბედნიერი ცხოვრება დაგვიმკვიდრა, შემოქმედების სიხარული მოგვანიჭა. სამური ცხოვრების მზით გარემოცულნი ახალ სიხარულს განვიცდით— ჩვენი თეატრის 10 წლისთავს ვდღესასწაულობთ. ყველა ჩვენთაგანს ერთი აქვს სათქმელი — მზად ვართ კვლავაც დაუღალავად ვემსახუროთ ჩვენი დიადი სამშობლოს ძლევამოსილებას.

ძნელია საკუთარ თავზე ლაპარაკი, მით უფრო ასეთ საზეიმო განწყობილების დროს, საყოველთაო დაფასების პირობებში. მაგრამ არ შემიძლია არ მოვიგონო ჩვენი შემოქმედების მეგზურნი, რომელთაც შემოქმედების გზაზე გვატარეს გამარჯვებიდან გამარჯვებამდე. მადლიერი გრძნობით ვიგონებ საბჭოთა თეატრალური ხელოვნების შესანიშნავ ოსტატს კოტე მარჯანიშვილს, რომელმაც შემოქმედებითი ცეცხლით აგვანთო და შეგვამჭიდროვა. მისი სახელი დაუვიწყარია ჩვენთვის. დღევანდელ დღეს განსაკუთრებული პატივისცემით ვიგონებ ჩვენი სცენის ოსტატების —ელისაბედ ჩერქეზიშვილის, ნიკო გოცირიძის, უშანგი ჩხეიძის, შალვა ღამბაშიძის, თამარ ჭავჭავაძის, ვერიკო ანჯაფარიძის, ელენე დონაურის, ტ. აბაშიძის, ც. წუწუნავას და შაქრო გომელაურის სახელებს, რომელთა შემოქმედებით გამთბარმა ამ 8 წლის წინათ ფეხი შემოვდგი მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

მთელი ჩემი შემოქმედებითი მუშაობის ტკბილი წუთები, თუ რაიმე მნიშვნელოვანი შემიქმნია და მადლიერ მაყურებლისაგან დაფასება მიმიღია, მთელი ჩემი სიხარული, სიყვარული როგორც მსახიობისა, დაკავშირებულია ჩემს მშობლიურ — მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან, მისი განვითარების გზასა და მიღწევებთან. ერთადერთი სურვილით ვარ შეპყრობილი: კიდევ უფრო მეტი გატაცებითა და გზნებით ვიმუშაო სოციალისტური სინამდვილით შექმნილ სახეთა სცენიური სრულყოფისათვის.

სესილია თაყაიშვილი

ვოკალისტთა სრულიად-საკავშირო კონკურსის შედეგები

ვოკალისტთა სრულიად-საკავშირო კონკურსის ლაურეატთა ყველა კონცერტი დიდის მხატვრული წარმატებით ჩატარდა. 10 იანვარს ჟიურიმ სსრ კავშირის სახალხო არტისტის ბ. ვ. ბარსოვას თავმჯდომარეობით შეაჯამა კონკურსის საბოლოო შედეგები და გაანაწილა პრემიები ლაურეატებს შორის.

პირველი პრემია ჟიურის არავისთვის არ მიუსჯია. სამი მეორე პრემია (რვა-რვა ათასი მანეთი) მიესაჯა თბილისის საოპერო თეატრის სოლისტს დ. ა. გამრეკელს, ხარკოვის კონსერვატორიის სტუდენტს ბ. რ. გმირიას და ლენინგრადის ესტრადის მსახიობ ქალს კ. გ. სემიზოროვას; ორი მესამე პრემია (ექვს-ექვსი ათასი მანეთი)—ლენინგრადის მცირე საოპერო თეატრის მსახიობ ქალს კ. ა. ტროპინას და ხარკოვის საოპერო თეატრის სოლისტს ნ. კ. გოროხოვს; ორი მეოთხე პრემია (ხუთ-ხუთი ათასი მანეთი)—სრულიად - საკავშირო რადიოკომიტეტის სოლისტს ბ. ს. დეინეკას და კიევის კონსერვატორიის სტუდენტ ქალს ლ. ა. რუდენკოს; მეხუთე პრემია (4 ათასი მან.) პერმის საოპერო თეატრის სოლისტ ქალს ნ. კ. კუკლინას; ორი მეექვსე პრემია (სამ-სამი ათასი მანეთი)—სრულიად - საკავშირო რადიოკომიტეტის სოლისტს გ. პ. ვინოგრადოვს და ოდესის საოპერო თეატრის სოლისტ ქალს ვ. ა. გუბერტს.

საუკეთესო მუსიკალური აკომპანიმენტებისათვის სპეციალური პრემიები მიეცათ პიანისტებს შრაიბმანს (მოსკოვი), ივანოვას (ლენინგრადი), ელვოვას (კიევი) და საქსონსკის (ოდესა).

ს. მ. კიროვის მუზეუმი ლენინგრადში.
ფოტო რ. ხალილოვისა

მანდარინის ახალი საწყობები

მანდარინის უხვ მოსავალთან დაკავშირებით, ცეკავშირის კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ 1938 წლის დამლევისათვის ქობულეთში ააგო მანდარინის დამხარისხებელ - გადამმუშავებელი საწყობი, რომელიც 28 მილიონ ცალ მანდარინს იტევს. ახლო მომავალში დამთავრდება მახინჯაურის მანდარინის დამმუშავებელი საწყობის მშენებლობა. 1939 წელს ახალი საწყობები აიგება აგრეთვე გაგრაში (აფხაზეთის ასსრ) და ჩოჩხათში (ლანჩხუთის რაიონი).

ახალ მშენებლობასთან ერთად, მოხდება მანდარინის გადამმუშავებელი საწყობების რეკონსტრუქცია - გაფართოება ქობულეთსა და ბათუმში.

ქ. ბათუმში აშენდება აგრეთვე მანდარინის ტარის (ყუთების) დამამზადებელი ბაზა, რომელიც ყოველწლიურად დაამზადებს ტარის 600 ათას კომპლექტს.

გალაკტიონ ტაბიძის საღამო

დღეს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგება სახალხო პოეტის ორდენოსან გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. საღამოს პროგრამაშია მოხსენება გ. ტაბიძის შემოქმედების შესახებ და სიტყვები და ლექსები, მიძღვნილი გ. ტაბიძისადმი. პოეტის ლექსებს წაიკითხავენ თბილისის სახელმწიფო თეატრების არტისტები, დასასრულ საკუთარ ლექსებს წაიკითხავს თვით პოეტი.

საღამო დაიწყება საღამოს 9 საათზე.

კომპოზიტორ ა. ბალანჩივაძის ახალი ოპერა

საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს შეკვეთით კომპოზიტორი ა. **ბალანჩივაძე** შეუდგა ახალი ოპერის „ბედნიერების" მუსიკის წერას აფხაზეთის მწერლის ა. ლაკერბაის ლიბრეტოს მიხედვით. ოპერა ასახავს კოლმეურნეთა მხიარულ და შეძლებულ ცხოვრებას.

ამასთან ერთად ა. ბალანჩივაძე სწერს ახალ სიმფონიას, რომელშიც ასახული იქნება საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმი.

ნორჩი ტალანტები

10 და 11 იანვარს ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის ბავშვთა მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლში მოეწყო ა.-კ. რკინიგზის სკოლებში მოსწავლე ნიჭიერ მოსწავლეთა შემოქმედების გასინჯვა. გასინჯვაში მონაწილეობდნენ თბილისის, ხაშურის, ზესტაფონის, ქუთაისის, ლენინაკანისა და ერევნის ნიჭიერი მოსწავლეები 85 კაცის რაოდენობით.

ნორჩმა ტალანტებმა წაიკითხეს ლექსები, შეასრულეს ხალხური სიმღერები ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ხალხურ სიმღერებთან ერთად შესრულებულ იქნა ბეთჰოვენის მე-9 სონატა, ბახის სოლფეჯიო, კომპოზიტორ ჩაიკოვსკის, შუბერტის, დუნაევსკის, დოლიძის, ტელიაკოვსკის, ძერჟინსკის, გრეჩანინოვისა და ალიაბიევის ნაწარმოებები. სიმღერები კარგად შეასრულეს 15 წლის ს. გრომოვამ, ე. გაჩეჩილაძემ, თ. სალუქაშვილმა, თ. ავსაჯანიშვილმა, მ. გურასკაშვილმა, ც. გორდელაძემ, ე. ერმოლენკომ და სხვებმა.

კარგად იქნა შესრულებული ნაციონალური ცეკვები: „ლეკური", „ბაღდადური", „კინტოური", „გოპაკი", „დავლური", „ოსური", „შალახო" და ესპანური ცეკვები.

მოცეკვავეთა შორის გამოირჩეოდნენ: მ. გვინჩიძე, ბ. სამარენკო, ე. მარიშვილი, რ. ჩოგოშვილი, ვ. ბეროზაშვილი, რ. ქიქინაძე, ბ. ნიკოლაიშვილი, ნ. მდივანი, ა. დემეტრაშვილი, ნ. მელაშვილი და სხვ.

ყურადღებას იქცევდნენ თბილისის რკინიგზის მე-5 სკოლის მოსწავლე მეჩონგურეთა გუნდი და სიმებიან ინსტრუმენტებზე დამკვრელნი.

ყველა მოსწავლეთა შემოქმედების გასინჯვის შემდეგ შესდგება ჟიურის სხდომა. ჟიურის დასკვნის თანახმად შერჩეული იქნებიან საუკეთესო შემსრულებელნი, რომელთაც აიყვანენ განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ მათი ნიჭის შემდგომი გაშლის მიზნით.

თბილისში, საბურთალოში, ზოოპარკს ზემოთ, მთავრდება ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის შენობის პირველი კორპუსი.
სურათზე: მშენებლობის საერთო ხედი.
ფოტო ო. ბუდეშტსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მაესტროთა საკავშირო ტურნირი

მეშვიდე ტური

მეშვიდე ტურმა [illegible] კიდევ ექვსი დაუმთავრებელი პარტია მიჰმატა. ამ დღეს მხოლოდ სამი: რიშევსკი-რაბინოვიჩის, გოგლიძე-ბონდარევსკის და მაკაგონოვ-კანის პარტიები დასრულდა. სამივე ყაიმით. გადადებულ პარტიებში მეექვსე ტურიდან კერესს მოგება აქვს რიშევსკისთან და ბელავენეცს — კონსტანტინეპოლსკისთან, კან - ლევენფიშის პარტია ყაიმით დამთავრდა.

შვიდი ტურის შემდეგ წინ არიან: სმისლოვი, რიშევსკი და რაბინოვიჩი +4 (1 გად.).

დღეს, ლენინგრადში ჩატარდება უკანასკნელი მერვე ტური. შემდეგ ტურნირი გაგრძელდება მოსკოვში.

პატივცემულო ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ დამიბეჭდოთ შემდეგი განმარტება:

გაზეთ „კომუნისტის" 1938 წლის 5 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილი ჩემი სტატიის („სოციალიზმის ქვეყნის დიადი ქარტია") მესამე აბზაცის დასაწყისი უნდა იკითხებოდეს ასე: „სტალინური კონსტიტუცია — ეს არის ძირითადი კანონი მუშებისა და გლეხების სოციალისტური სახელმწიფოსი" და ა. შ.

ი. ტალახაძე

დღეს კინოებში

ოქტომბერი — „ქარიყლაპიას ბრძანებით".
კომკავშირელი — დღისით — „ქარიყლაპიას ბრძანებით", საღამოს — „პატიოსნება".
დამკვრელი — „პატიოსნება".
სპარტაკი — დღისით — „მიტკა ლელიუკი", საღამოს — „საზღვარზე".
როზა ლუქსემბურგის სახ. — „ჰაობის ჯარისკაცი".
26 კომუნარის სახ. — „ალექსანდრე ნეველი".

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

ა. წ. 13 იანვარს პლეხანოვის სახელობის კლუბში (საბჭოს ქ. № 128) აწყობს ამხ. **იმედაძის** ლექციას თემაზე: ლენინის მიერ ლეგალური მარქსისტების — კაპიტალიზმის აპოლოგეტების განადგურება და მნიშვნელობა მისი წიგნისა „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ. სტრუვეს წიგნში". რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

O

ყოველდღიურად ტარდება კონსულტაცია მარქსიზმ-ლენინიზმის, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე პროპაგანდისტებისათვის, მომხსენებლებისათვის, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" დამოუკიდებლად შესწავლას.

კონსულტაცია ტარდება დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე, ქართულ და რუსულ ენებზე.

კონსულტანტთა ტელეფონები: 3—18—46 და 3—61—68.

პარტკაბინეტები

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში ა. წ. 13 იანვარს, საღამოს 7 საათზე, ტარდება ჯგუფური კონსულტაცია თემაზე: რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნა. პარტიის შიგნით ბოლშევიკებისა და მენშევიკების ფრაქციების გაჩენა. კონსულტანტი ამხ. კალანდარიშვილი. ქართულ ენაზე.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი ამხ. ლ. ჩიხლაძესთან ა. წ. 13 იანვრისათვის იწვევს ამხანაგებს: დავით მელიტონის-ძე ჯიბლაძეს, თაქთაქიშვილს და ახალაძეს (წითელ არმიაში სამსახურდამთავრებულებს).

O

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი იუწყება, რომ პარტბილეთი № 1565732, გაცემული ქალ. სემიპალატინსკის (ყაზახეთი) ეჟოვის სახელობის რაიკომის მიერ მიხეილ ვასილის-ძე სლინჩუკის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ე. ხუციშვილი

გორის მუზეუმში

დიდი სტალინის სამშობლო ქალაქს— გორს მდიდარი ისტორიული წარსული აქვს. გორსა და მის მიდამოებში მრავალი შესანიშნავი ისტორიული ძეგლი მოიპოვება. ყოველ ფეხის გადადგმაზე აქ გვხვდება მატერიალური კულტურის ძეგლები, რომელთა შესწავლა ნათელს მოჰფენს ქართველი ხალხის წარსულს.

გორისა და ვერის შესანიშნავი ციხეები, უფლისციხისა და ქვახვრელის კლდოვანი ქალაქები, ატენის, ურბნისის, დანახვისის, რუისის, სალოლაშენის, დირბის და სხვ. ეკლესია-მონასტრები, რომელთა კედლები დაფარულია იშვიათი ფრესკებით და შემკულია ჩუქურთმებით,—იძლევიან უმდიდრეს მასალას საკვლევო-მეცნიერული მუშაობისათვის და საქართველოს ერთერთი უძველესი ქალაქის—გორისა და მისი რაიონის წარსულის შესწავლისათვის.

ამ ფრიად საჭირო და მნიშვნელოვან საქმეს სათავეში ჩაუდგა გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც დაარსდა გორში 1935 წელს.

სამი წლის მანძილზე მუზეუმმა ჩაატარა მნიშვნელოვანი მუშაობა, რასაც ნათლად მოწმობენ ამ მუზეუმის დარბაზებში გამოფენილი მასალები და ექსპონატები, რომელთა დიდი ნაწილი მრავალი საუკუნის განმავლობაში მიწაში იყო დამარხული.

მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების ექსპონატებს შორის ყურადღებას იპყრობს გორში ნახული თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს ცული და შუბის წვერები, რომლებიც ეკუთვნიან მე-10 საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. აქვეა შოთა რუსთაველის ეპოქის დროის ქაშანურის ჯამი, გაკეთებული იშვიათი ხელოვნებით. ეს ჯამიც გორშია ნაპოვნი.

1930 წელს სოფ. სასირეთში და გოსტიბეში ნახულ იქნა ბრინჯაოს ნივთების მდიდარი განძი—ჭურჭელი, ქანდაკებანი, იარაღი, რომლებიც ეკუთვნის მე-12 და მე-13 საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. გორის მუზეუმს აქვს ამ ნივთების ფოტოსურათები. თვით ნივთები ინახება თბილისში, საქართველოს მუზეუმში.

მუზეუმის ერთ დარბაზში გამოფენილია მიმდინარე წელს ტყვიავის ყორღანის გათხრის დროს აღმოჩენილი სამი უძველესი სამარხი. აქვეა ამ სამარხებში ნახული ფული და ბრინჯაოს შუბის წვერები. ეს სამარხები და ნივთები დაეხმარება ჩვენს ისტორიკოსებს და არქეოლოგებს იმის შესწავლაში, თუ წინათ როგორ წესებს მისდევდნენ მიცვალებულთა დამარხვის დროს. უკვე დადასტურებულია, რომ ეს სამარხები ეკუთვნის ჩვენი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნეს.

მდიდარია მუზეუმის ნუმიზმატური განყოფილება. ქართული ფულის გარდა აქ არის სხვადასხვა ერების ფული. ამ განყოფილებას აქვს აგრეთვე მე-15 საუკუნის დიდძალი ფული, რომელიც ნახულ იქნა გორში 1935 წელს.

ფრიად საინტერესოა მუზეუმის ის განყოფილება, რომელიც გვიჩვენებს გორის ისტორიას. ამ განყოფილებაში დაგროვილია მრავალი ძვირფასი მასალა გორის წარსულიდან და მისი ახლანდელი მდგომარეობიდან. მნახველი აქ ეცნობა გორს — საქართველოს სამეფოს ქალაქს, შემდეგ ექსპონატები და ფოტოსურათები გვიხატავენ გორს—მეფის დროის სამაზრო ქალაქს. მრავალი ფოტოსურათი აღადგენს გორის ტრაგედიას — 1920 წლის მიწისძვრას და, ბოლოს, სოციალისტური, განახლებული გორი ლამაზი ქუჩებით, ახალი შენობებით, კულტურული დაწესებულებებით. ამ განყოფილებაში არის იტალიელი პატრის ქრისტეფორე კასტელის მიერ 1633 წელს დახატული გორის ციხის სურათი.

გორის მუზეუმის ხელმძღვანელები მუზეუმის დაარსების დღიდანვე შეუდგნენ ძველი ხელნაწერების და წიგნების შეგროვებას და დღეს მუზეუმს მოეპოვება მრავალი ძვირფასი წიგნი, სიგელ-გუჯარი. მუზეუმში გამოფენილია 1711 წელს ვახტანგ მეფის სტამბაში დაბეჭდილი ფსალმუნი და კონდაკი. ხელნაწერებს შორის საინტერესოა ვახტანგ VI დასტურლამალი, გადაწერილი ვინმე თუმანიშვილის მიერ 1729 წელს, და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, გადაწერილი 1783 წელს თელავის სემინარიის მოწაფის ნიკოლოზ ონიკაშვილის მიერ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მუზეუმმა შეიძინა წიგნი „ღეოგრაფიული ლექსიკონი ახლისა აღთქმისა, რუსულიდან გადმოკეთებული ტარასის მიერ მღვდელმონოზონისა". წიგნი დაბეჭდილია „სანკტპეტერბურღს სტანბასა შინა იოსებ იოანესოვისასა წელსა 1824". ამ წიგნს დართული აქვს მცირე აზიისა და პალესტინის რუკები და იერუსალიმის გეგმა ხუცური წარწერებით.

შეძენილია მეორე საინტერესო წიგნი: „სწავლა აღრისათვის წინა დამცველისა ყუავილისა". ეს წიგნი „დაიბეჭდა სანკტპეტერბურღსა შინა. კარეხტურის მმართველობითა: საქართველოს აზნაურისა გიორგი ელიოზის ძისათა: წელს ჩყიე (1815 წელი), აგვისტოსა ით".

მუზეუმის ერთი დარბაზი დათმობილი აქვს მასალებს იმ მწერალ-ხალხოსნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რომლებიც გორში მუშაობდნენ. აქ არის ძვირფასი და მდიდარი მასალა ნიკო ლომოურის, სოფრომ მგალობლიშვილის, ანტონ ფურცელაძის, იოსებ დავითაშვილის და სხვ. შესახებ. ამ მასალებს უდიდესი ინტერესით ათვალიერებენ და ეცნობიან გორისა და მისი რაიონის სკოლების მოწაფეები.

გორის მუზეუმი, წარსულის ჩვენებასთან ერთად, აგროვებს მასალებს კოლმეურნეთა დღევანდელი საამური, შეძლებული და ბედნიერი ცხოვრების შესახებ. ერთ-ერთ კედელზე არის ძველებური ქართული დარბაზების, მიწური სახლების სურათები. ამ სურათების გვერდით ნახავთ სოფ. ქართლეთის, ტყვიავის, ხიდისთავის კოლმეურნეთა ორსართულიანი, კულტურული სახლების სურათებს.

გორის მუზეუმი დიდ კულტურულ და მეცნიერულ მუშაობას ატარებს. მნიშვნელოვან განძს წარმოადგენს ის უძვირფასესი მასალა, რომელიც მუზეუმის განკარგულებაშია. მუზეუმი მოითხოვს უფრო მეტ დახმარებას და ხელშეწყობას ადგილობრივი ორგანიზაციების მხრივ, რომ მან კიდევ უფრო ფართოდ გაშალოს თავისი ნაყოფიერი მუშაობა.

◆

რუსთაველის სახელობის
ლენინის ორდენოსანი
სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

12/I	წარმოდგენა 95 ნაპერწკლიდან
14/I	წარმოდგენა 96 ფოლადაური
15/I	წარმოდგენა 97 უდანაშაულოდ დამნაშავენი

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე
დასაწყისი საღამოს 8 ს.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის
სახ. ოპერისა და ბალეტის
ლენინის ორდენოსანი
სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი.

12/I	მუდმ. ადგ. ტალ. № 71 ქეთო და კოტე
12/I	დაისი დასაწყისი დღის 12 საათზე
14/I	მუდმ. ადგ. ტალ. № 72 აბ. სერ № 6 ესმერალდა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის
სახელმწიფო თეატრი

12/I	სამანიშვილის დედინაცვალი
14/I	ნაპერწკლიდან
15/I	თეატრის X წლისთავი

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან
საღამოს 9 საათამდე
დასაწყისი საღამოს 8 ს.

ფილარმონია. სეზონი 1938/39 წ.
რუსთაველის სახ. თეატრის საკონცერტო დარბაზი
12 იანვარს
მუდმივი ადგილის ტალონი № 67. მე-2 აბონემენტის მე-11
კონცერტი სახალხო პოეტის ორდენოსან
გალაკტიონ ტაბიძის პოეტური მოღვაწეობის XXX წლისთავის
აღსანიშნავი საღამო
დაწვრილებით აფიშებში. ბილეთები იყიდება სალაროში.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. 255

თბილისის საქორგაღრიცხვის მე-2 ფილიალი
ანარმოებს მომზადებას და გადამზადებას:
ბუღალტრების, მოანგარიშეებისა და საქმისმწარმოებელ-მოანგარიშეებისას. იხსნება ახალი ჯგუფები.
კალინინის, 51 (მე-5 რკ. გზ. სკოლა), ტელეფონი 3-38-41
საღამოს 7—10 საათამდე. 8 2-1

ა. წ. 14 იანვარს ქ. თბილისში მოწვეულია საქ. სარეწაო საბჭოს მე-6 მოწვევის მე-2 პლენუმი აქტივთან ერთად.

დღის წესრიგი:

1. 1938 სამეურნეო წლის საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების წინასწარი შედეგები და ღონისძიებანი 1939 წლის გეგმის შესრულებისათვის (მომხს. ამხ. ვ. **შავგულიძე**).
2. საქ. სარეწაო კოოპერაციის არტელებში 1938 წლის საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ჩატარების შესახებ. (მომხს. ამხ. **რ. ოთხმეზური**).
3. საქ. სარეწაო კოოპერაციის სისტემაში 1938 წლის მოგების განაწილების შესახებ (მომხს. ამხ. **ხ. მუავანაძე**).
4. საორგანიზაციო საკითხები.

პლენუმი შესდგება მასწავლებელთა სახლში, ფურცელაძის ქ. № 3, 14 იანვარს საღამოს სრულ 6 საათზე.

272 **საქ. სარეწაო საბჭოს პრეზიდიუმი.**

თანახმად საქ. სახკომსაბჭოს ა. წ. 3 იანვრის დადგენილებისა № 16 საქ. ჯანსახკომთან არსებული საპროექტო ტრესტი **„გრუზკურორტპროექტი" ლიკვიდირებულია** ა. წ. 5 იანვრიდან.

ყოველივე პრეტენზია აღნიშნული საპროექტო ორგანიზაციისადმი წარდგენილ უნდა იქნას ა. წ. 23 იანვრამდე „გრუზკურორტპროექტის" ლიკვიდკომში.

მისამართი: რუსთაველის პროსპექტი № 22, მე-4 სართული.

აღნიშნული ვადის შემდეგ არავითარი პრეტენზია არ იქნება მიღებული.

11 **ლიკვიდკომი.**

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34' **ტელეფონები:** პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04 ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი: კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ღ—1460